ნაპალოული

140/2
2002

რისგასცა გასცემ...

62-ე – მომავლის სკოლა

"თუსტანი – XX საუკუნის ფიქრებისფერადი.. ანუ ერთი საინტერესო გაკვეთილი

თანამედროვე მეგობრები

ცისფილის გაკვეთილი



მოქანდაკე
მერაბ ბერძენიშვილი

სპპჯპ ძის სპმი ᲪᲬᲔᲜᲘ

– ვის ᲬᲮᲔᲜᲖᲔ ზიხარ, ვის თეთრონზე,
გიორგი, გიორგი!
– ნმინდა გიორგიმ მინყალობა, თეთრმა
გიორგიმ!
– ეგ ხორასნული ხმალია თუ ელვა-მეხია?
– ნმინდა გიორგიმ მისაჩუქრა, დიდმა
სეხნიამ.
მელის მარაბდა, ᲥᲐᲨᲘᲡᲙᲐᲠᲘ, მელის
მარᲥᲣᲝᲤᲘ,
სიმნარეკ, ბოლმაკ, მძულვარებაკ, დღემდე
ბარᲥᲣᲝᲑᲓᲘ.
...ᲬᲮᲔᲜᲘ Ჯიხვინით, სისხლით გავრუმბე,
თათრის სულები მოვაძოვინე,
თათრის გნიასი აკკიდე ღრუბლებს
და შაჰს ირანში მოვანოვინე..
გზაჯვარედინად გაიკლაკნა ბედი როკაპი
და მოგანივლა, მოგასივლა გკელის ორკაპი.
– ვისი ᲬᲮᲔᲜᲘᲐ ეგ ფეხკავშა, ვისი გიორგი?
– მაღალი ხონოქრის ფეშქაშია.. ვაი,
გიორგის!
– ნუთუ მᲥᲔრს უნდა ემსახუროს მოკვრის
მაგიერ?
თათარი უნდა გაალაღო მოთხრის მაგიერ?
და ჩალმა უნდა დაიხურო ნაბდის მაგიერ?
ბაიათს უნდა ანაᲬᲕალო „მრავალკამიერ?"
– საით იჩქარი, ახლა საით, საით, გიორგი?
ფერი არ მომნონს არᲬ შენი და შენი იორლის!
იქ ბაზალეთი ღვთისმშობელის ᲬᲠემლივით
ბზინავს...
იქ დგანან ძმები ქართველები..
– აღმიდგეს ვინა!..
ფრესკა-ხᲐᲪᲔᲑზე მოქუფრულა დიდი
სეხნია, –
ხმალიმᲬ ვადაში გადაᲥᲔხია!..
კასპში კი ძეგლი – უკუღმართი დროის
დიდება
ᲕᲔᲑერთელა (არა მახვილს) ᲯᲕარს ეზიდება.
ელვა, გრიგალი – დაკუნთული ᲯᲒრო მუხის
რკოთა
ᲬᲓილობს ამოხᲥეს ბრინჯაოდან, ბედიდან,
დროდან,
და, თუმᲪა, რიხი შეჰკორძვია ᲥᲐᲜᲡ
ᲥᲕიᲥკირივით,
ლომის ბუხუნში
ჩუმად ისმის
კᲬის ᲥირილიᲬ...

ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2002 წ. №4

ნომრის შინაარსი

„ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო 2
ჟურნალის სტუმარია თბილისის 62-ე სკოლა 3
ვლ. ბერიაშვილი – დავითის მარტვილობა (მოთხრობა) .. 6
„ოდოშხერი" 9-20
„ფუტკარი – XX საუკუნის სუპერვარსკვლავი" ანუ ერთი
საჩვენებელი გაკვეთილი 10
იცნობდეთ! 12
თამარ ბურნაძე-წინწიკაშვილი. ზინაიდა ლობჟანიძე –
ლექსები 13
რასაცა გასცემ 14
საკონტროლო წერა. წერენ თბილისის მე-11 სკოლის
მეშვიდეკლასელები 15
რატომ ვამბობთ ასე? სიტყვის კონა 19
თანამედროვე მეკობრეები (კითხვა-თქვენი, პასუხი-ჩვენი) . 21
ხუთი ბიჭი ერთი უბნიდან (სპორტი) 22
მელომანი ცხოველები (ბუნების კარი) 23
გაზაფხულდა, გალამაზდით, გოგონებო! (სილამაზის
გაკვეთილი) 27
ჯადოსნური სარკე 28
ტესტი 29
ორიგამი 31
სიცილის გაკვეთილი 32

რედაქტორი მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.
ინდექსი: 76157.
ფასი სახელშეკრულებო
რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში

აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის ამ თვის სახელიც ძველ რომს უკავშირდება. ლათინურად სიტყვა „Aprilis" თბილს ნიშნავს. აპრილის ძველქართული სახელია იგრიკა.

აი როგორ ახასიათებს აპრილს ბუნების დიდი მესაიდუმლე ნიკო კეცხოველი:

„აპრილი ჩვენში ნამდვილად გაზაფხულის თვეა. მარტში თუ ზამთრის სუსხი მოგვდევს და მაისში კი ზაფხულის ხვატი წამოგვივლის ხოლმე, სამაგიეროდ აპრილი გულისგული გაზაფხულია, შედარებით თანაბარი, სასიამოვნოდ თბილი. ამ დროს გაზაფხულის მთელი მაყრიონია წამოსული, მწვანედ ღაღანებს მინდორ-ველი. მინის ზედაპირი დამშვენებულია ათასნაირი ყვავილით, მოლითა თუ აღმონაცენით, აპრილში ისახება ბუნების საგაზაფხულო სამოსელი, ბუნების ჭრელი და ლამაზი კაბა. აპრილშივე იჩითება იგი ნაირფერი ფერებით, რომელნიც აპრილის ბოლოსათვის ძლიერდებიან. აპრილში დაიმუხლებს ხოლმე ჯეჯილიც, რომელსაც ხშირად გადაჰკრავს ცელქი ნიავის მზეკაბანი, გეგონებათ ტალღის ჭავლმა გადაურბინა აქამდე გაყუჩებულ და მოელვარე ტბის ზედაპირსო.

სწორედ ამიტომ ამბობს ჩვენი ხალხი: „ყანას უთქვამს: აპრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წავისხი, თიბათვეში გული ჩავიდგი და მკათათვეში მოვიმკეო". ამ პატარა თქმაში ხორბლის განვითარების მთელი და სრული ბიოლოგია ჩანს.

აპრილის დასაწყისში გაშლილია ნუში და ატამი, გარგარი და ჭერამი, ტყემალი და ალუჩა. პატარძალსა ჰგავს, საქორწილოდ გამზადებულს, ჩვენში აპრილი. თვის ბოლოს კი აყვავდება უფრო დარბაისელი ხილეული: ვაშლი და მსხალი, კომში და ზღმარტლი. გაზაფხულის იმ მაყრიონს, რომელიც მარტში გვეწვია, ემატება: ყვითელი ფურუსელა, შროშანი, ია-ია, გვირილა, სოსანი. მოსაფრენი ფრინველი მოფრინდა, გამოცოცხლდნენ გარეული ცხოველებიც. არის გახურებული ეღურტული, მოუსვენარი ფრენა, ბუდეების კეთება, შეკეთება. დედალ-მამლის ურთიერთძებნა-დაწყვილება. ყველა ემზადება იმისათვის, რომ წელი უშედეგოდ არ გაატაროს: შთამომავლობა დატოვოს."

29572
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ფაქტი

„ნაკადულის“ საინფორმაციო საამგენტო

ინტელექტუალთა პაექრობა ზუგდიდში

ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ინტელექტდარბაზის ხელმძღვანელის ქ-ნ ლია გრიგოლიას ინიციატივით ჩატარდა უფროსკლასელთა პაექრობა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში „ძლევაი საკვირველი“, რომელშიც რაიონის 15 საშუალოს სკოლის ინტელექტუალთა კლუბებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს პაექრობის პირველი ეტაპი იყო და იგი მოიცავდა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის პერიოდს უძველესი დროიდან VI საუკუნემდე. მომდევნო ეტაპი კი შესაბამისად შემდგომ საუკუნეებს მოიცავს. პაექრობის საბოლოო შედეგები ოთხი ეტაპის მაჩვენებლების მიხედვით დადგინდება.

სკოლა არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის

ხონის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ავჭალის კოლონიაში გადმოყვანილ არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის კვლავ ამოქმედდება სკოლა. ამჟამად ამ სკოლისათვის მუშავდება პროგრამა „წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნებისათვის“. ავჭალის კოლონიის სკოლისათვის კონკურსის წესით ათი პედაგოგი შეირჩევა.

გამარჯვება გერმანიაში

გერმანიის ქალაქ აახენში გამართულ შეჯიბრებაში ბატუტზე ხტომაში „გრენზლანდის თასის“ მოსაპოვებლად 35 ქვეყნის 245 სპორტსმენი იბრძოდა. საქართველოს გუნდი თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშის სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სკოლის აღსაზრდელებით იყო წარმოდგენილი. თავი ისახელა ამ სკოლის მოსწავლემ ლუბოვ გოლოვინამ, რომელიც საუკეთესო იყო 11-15 წლის ასაკის სპორტსმენთა შორის. 14-18 წლის სპორტსმენთა შორის ყველაზე მაღალი შეფასება თენგიზ კოშკაძემ დაიმსახურა. ორივე ჩვენი ბატუტზე მხტომელი თასით ხელდამშვენებული დაბრუნდა თბილისში.

გაიხსნა „ბავშვთა დახმარების ფონდი“

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ბაზაზე ჰოლანდიური ფონდის „კორდაიდის“ ფინანსური მხარდაჭერით გაიხსნა „ბავშვთა დახმარების ფონდი“.

ნუ შეიყვანთ ბავშვებს ვალდორფის სკოლებში

საქართველოს საპატრიარქოს პრეს-სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპატრიარქო ურჩევს მართლმადიდებელ ქრისტიანებს, ნუ შეიყვანენ ბავშვებს ვალდორფის სისტემის სკოლებში, სადაც სწავლის მეთოდიკა გამსჭვალულია თავისი არსით ანტიმართლმადიდებლური მოძღვრების — ანთროპოსოფიის სულისკვეთებით.

მომავლის სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის ჩარჩოებში მიმდინარეობს ახალი ქართული სკოლის ერთ-ერთი მოდელის დამკვიდრება და აი ამ მოდელის ექსპერიმენტული გამოცდის ბაზად დედაქალაქში 62-ე საშუალო სკოლაც შეირჩა. ცხადია, ეს შემთხვევით არ მოხდებოდა, ამას დამსახურება უნდა. ხოლო 62-ე სკოლა უთუოდ იმსახურებს ამგვარ ნდობას.

სკოლის გამორჩეულად საინტერესო ტრადიციებს მისმა პირველმა დირექტორმა, შესანიშნავმა პიროვნებამ და პედაგოგმა ვალერიან მელაძემ ჩაუყარა საფუძველი. ბატონი ვალერიანი დიდი სამამულო ომიდან დაბრუნების შემდეგ ჩაუდგა სათავეში ამ სკოლას, რომელსაც მაშინ 32-ე ერქვა და რომელიც სამ — ქართულ, რუსულ და ოსურ — სექტორს აერთიანებდა. დირექტორს ბინა არ ჰქონდა და ოჯახითურთ სკოლის შენობაში ცხოვრობდა, ისე რომ შეიძლება ითქვას, მისი ვაჟიშვილი, ცნობილი მათემატიკოსი, თსუ-ს პროფესორი ჰამლეტ მელაძე აქ გაიზარდა. ბატონმა ჰამლეტმა ეს სკოლა დაამთავრა, აქვე სწავლობს დღეს მისი ქალიშვილი იულია მელაძე. სკოლა რომ იტყვიან, მთელ ქალაქში ქუხდა, მას მელაძის გიმნაზიას ეძახდნენ და აქ სწავლა დიდ პატივად ითვლებოდა. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ დირექტორებში სკოლას ბედი აქვს. მას შემდეგ, რაც ბატონი ვალერიანი ახლად შექმნილი კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის დირექტორად გადაიყვანეს, 62-ეს სათავეში რონა პირველი ჩაუდგა, მერე იყვნენ გრიგოლ ონიანი, ვიტალი დემეტრაძე, ანზორ წოწონავა — ყველანი საუკეთესო ხელმძღვანელები და აღმზრდელები.



სკოლის დირექტორი შოთა მალაზონია

დღეს ამ სასიქადულო ადამიანთა დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს მათი მემკვიდრე, ბატონი შოთა მალაზონია აგრძელებს და ღირსეულადაც აგრძელებს. 62-ე სკოლის ამჟამინდელი დირექტორი ისტორიკოსი გახლავთ, ადრე ჯერ 124-ე სკოლაში ასწავლიდა ამ საგანს, მერე 70-ეში, 1989 წლიდან კი აქ გადმოიყვანეს დირექტორის, ანზორ წოწონავას მოადგილედ. მერე (ბატონი ანზორის გარდაცვალების შემდეგ) დაახლოებით რვა თვეს ასრულებდა დირექტორის მოვალეობას და ამ მოკლე ხანში ისეთი პატივისცემა დაიმსახურა, რომ როცა სამინისტროში სხვა დირექტორის დანიშვნა გადაწყდა, კოლექტივმა ერთსულოვნად მოითხოვა შოთა მალაზონია და კიდევაც გაიტანა თავისი. იმ დღიდან მოყოლებული, მთელი პედკოლექტივი ერთგულად უდგას მხარში დირექტორს და ასე ერთად, მასწავლებლის მაღალი მოვალეობის, სკოლის უდიდესი როლის შეგნებით ემსახურებიან აქ თაობათა აღზრდა-განათლების საქმეს, ცხოვრების დიდ გზაზე სასიარულოდ უმზადებენ სულის საგზალს ახალგაზრდებს, რომლებმაც ხვალ-ზეგ ქვეყნის ბედი უნდა ჩაიბარონ და განაგონ.

დღეს 62-ე სკოლაში 35 სასწავლო კლასი, 70 მოსწავლე და 1200-მდე მოსწავლეა, მათგან 200-მდე აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილია. ამხელა საქმწყსოს გაძღოლა, იოლი საქმე არ გახლავთ და ბატონ შოთას დიდი ძალისხმევა, მოთმინება, გამჭრიახობა და, თუ გნე-

პედაგოგი ლენა არაბული

პედაგოგი ნინო ბუჩუკური

ამ პირველკლასელებმა უნდა გააგრძელონ სკოლის ტრადიციები

ბავთ, დიპლომატია სჭირდება, ათასი საზრუნავის მოსაგვარებლად და ამიტომაც სულ ეძებს, ფიქრობს, ნიადაგ იმის ცდაშია, რომ გამონახოს ორგანიზაციები, ადამიანები ვინც სკოლაში არსებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებიან. ასე დაუკავშირდა მაგალითად, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს, დააინტერესა მისი წარმომადგენლები, სკოლაში მიიწვია, დაათვალიერებინა ავარიულ მდგომარეობამდე მისული სახურავი, წყალგაყვანილობის სისტემა და ა.შ. შემდეგ ფონდმა 62-ე სკოლა პროექტში ჩართო და შენობასაც სულ მალე დაეტყო ამ ნაბიჯის სიკეთე — მოცინკული თუნუქით გადაიხურა 3800კვ.მ, აღდგა და გარემონტდა საქტო დარბაზი, ფიზკულტურის დარბაზი, მოწესრიგდა სველი წერტილები. ბევრი რამ კეთდება სკოლაში შემოწირულობებით, ეს მომენტი აქ აბსოლუტურად გამჭვირვალეა და ნებისმიერი ძალდატანება გამოირიცხება. როგორც წესი, სკოლის განვითარების ფონდში შემოსული თანხა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, სტანდარტგარეშე სასწავლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებას, პედაგოგთა შრომითი ანაზღაურების გაუმჯობესებას, ნიჭიერი მოსწავლეებისა და ხელმოკლე ოჯახების შვილების დახმარებას ხმარდება. მშობლიურ სკოლას მისი კურსდამთავრებულებიც აშველებენ ხელს, ზოგი ფინანსურად, მატერიალურად ეხმარება, სხვები — კონსულტაციებით, ლექცია-საუბრებით, რჩევით, მაგალითად, ჰამლეტ მელაძემ კომპიუტერები გადასცა საჩუქრად, ონისე თუთბერიძემ სკოლის ეზოს მოსაწესრიგებლად საჭირო მასალები წააშველა და ა.შ. დირექტორის ნებისმიერი ძალისხმევა გაქარწყლდებოდა და უშედეგოდ დამთავრდებოდა, მასწავლებელთა კოლექტივი რომ არ ედგას მხარში. სწორედ თავისი პედაგოგების ეიმედება ბატონ შოთას ყოველ საქმეში, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია — სასწავლო ნაწილის გამგეები ლალი კახიძე (მაღალი კლასების კურატორი) და ქეთევან ქსოვრელი (დაბალი კლასების კურატორი), დირექტორის მოადგილეები ნუნუ სიხარულიძე (აღმზრდელობით დარგში) და ცირა კასრელიშვილი (მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი) — მთავარ საყრდენად ეგულება.

ვალერიან მელაძის სახელობის კლასი

62-ე სკოლაში კარგა ხანია უარი თქვეს ერთფეროვან, სტანდარტულ გაკვეთილებზე და ყველანაირად ცდილობენ პირველი კლასიდანვე დამოუკიდებელ აზროვნებას მიაჩვიონ ბავშვები, თამამად ნერგავენ სიახლეებს. სწავლების დონის განმსაზღვრელი ძლიერი პედაგოგიური ბირთვია, რომლის წამყვან ძალას 17 უმაღლესი და 35 პირველი კატეგორიის მასწავლებელი შეადგენს. მათ შორის წლის საუკეთესო მასწავლებლად აღიარებულიც ჰყავთ — მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გულიზარ ბინაძე — და მასწავლებელი-გზამკვლევის ნომინაციაში გამარჯვებულიც — რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვალენტინა მნაცაკანოვა. სკოლის თითოეულ მასწავლებელს, დიდი პედაგოგიური სტაჟის მქონე, გამოცდილი იქნება თუ ახალგაზრდა, სულ რამდენიმე წლის მოსული, ერთი მიზანი ამოძრავებს — მცოდნე, განათლებული, მოაზროვნე, კულტურული, სულით მდიდარი, ზნეკეთილი, ჭეშმარიტი მამულიშვილები, მოქალაქეები აღუზარდოს ქვეყანას. ამ მიზანს ემსახურება თითოეული გაკვეთილი, სკოლაში ჩატარებული ყოველი ღონისძიება — რუსთაველის დღეები, ფოლკლორისტთა კონკურსი, მათემატიკოსთა ჭიდილი, ალექსანდრე ყაზბეგის საიუბილეო კვირეული, პუშკინის საიუბილეო დღეები, უცხო ენებისა მოყვარულთა მხიარული კარნავალი, კლასიკური მუსიკის ზეიმი, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კონკურსი, ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლა და მრავალი სხვა საინტერესო ღონისძიება.

სულ რამდენიმე წელია სკოლაში კლასებისათვის ამა თუ იმ დიდი ადამიანის სახელის მიკუთვნების ტრადიცია დამკვიდრდა. ამ სახელის ტარების უფლებას მოპოვება უნდა. კლასმა უნდა დაამტკიცოს, რომ ღირსია ატაროს ეს სახელი. ასე იყო, როცა მაშინდელმა მეშვიდე „ა“ კლასმა სურვილი გამოთქვა, სკოლის პირველი დირექტორის, ღირსეული პიროვნების ვალერიან მელაძის სახელი ეტარებინა. დამრიგებელმა შესაბამისი განაცხადი დირექციაში წარადგინა. გარკვეული პერიოდის მანძილზე ამ კლასს ყურადღებით აკვირდებოდნენ, მრავალი პარამეტრით ამოწმებდნენ და როცა პედსაბჭო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი ყველა მონაცემით იმსახურებდა ვ. მელაძის სახელს, კიდეც მიანიჭეს იგი. მოგვიანებით ამავე გზით მოიპოვეს მეხუთეკლასელებმა ილია ჭავჭავაძის სახელი, მერვეკლასელებმა — რუსთაველის სახელი, ახლა კიდევ ერთი კლასი ემზადება ლადო ასათიანის სახელის ტარების უფლების მოსაპოვებლად.

ბატონ შოთა მალაზონიას მოწადინებით და დიდი ხელშეწყობით მესამე წელია სკოლაში საკუთარი დამოუკიდებელი გაზეთი „ინტელექტუალი“ გამოდის, რომლის რედაქტორი ამავე სკოლის

კურსდამთავრებული ვარდო თვალაძე გახლავთ. დღემდე გამოცემული ყველა ნომერი მასწავლებლებისა და მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით არის მომზადებული. „ინტელექტუალი" ფართოდ აშუქებს სკოლის ცხოვრებას, წარმოაჩენს მოსწავლე, მასწავლებელთა შემოქმედებას ყოველ ნომერში იბეჭდება სხვადასხვა სახის შემეცნებითი და გასართობი მასალები. დიდი ადგილი ეთმობა გაზეთის ფურცლებზე რელიგიასთან დაკავშირებულ, ქრისტიანული ცხოვრების წესის, ქართული ენის სიწმინდის საკითხებს, ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ თავისუფლად გამოთქვან გაზეთში საკუთარი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხებზე.

ცალკე უნდა ითქვას იმ განსაკუთრებულ ურთიერთობებზე, 62-ე სკოლასა და ეკლესიას, საპატრიარქოს, „ივერიელთა ერთობის კავშირს" შორის რომ ჩამოყალიბდა და ამ ურთიერთობის კეთილ ნაყოფზე — მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე რწმენისადმი, მართლმადიდებლური ქრისტიანობისადმი, ცხოვრების ქრისტიანული წესისადმი, სულიერებისადმი.

„დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი სკოლის, 62-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს კაცობრიობის II ათასწლეულის დასასრულს ღვთის ნებით სურვილი გაგვიჩნდა, ვიყოთ ბედნიერნი და არ დავემდუროთ უფალს. ამ მიზნით 2000 წლის 19 სექტემბერს IX კლასის მოსწავლეებმა კურთხევის მისაღებად წმინდა პანტელეიმონის წინამძღვარი მამა დავითი (შენგელია) მოვიწვიეთ"... — ჩაიწერა სკოლის პრესცენტრის ხელნაწერი ჟურნალის „ინტელექტუალის" №2-ის თავფურცელზე (პრესცენტრის თავმჯდომარე — ვარდო თვალაძე, მდივანი — ლუიზა აფხაზავა). მეცხრეკლასელთა კურთხევას სკოლის დირექტორის, მოსწავლეებისა და მასწავლებლების კურთხევა მოჰყვა. ისინი მცხეთობის ბრწყინვალე დღეს თავად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა სიონის ტაძარში. 28 ოქტომბერს კი 62-ე სკოლის აღზრდილმა, დიდუბის ღვთისმშობლის ტაძრის მღვდელმა, მამა ალექსანდრემ აკურთხა სკოლის მთელი შენობა, ყველა საკლასო ოთახი და ყველა პედაგოგი. იმავე დღეს სკოლისა და საზოგადოებრივი მოძრაობის „ივერიელთა ერთობის კავშირის" ძალისხმევით ჩატარდა მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველო მესამე ათასწლეულის მიჯნაზე", რომლის მუშაობაში მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ პედაგოგები, სასულიერო პირები, საერო ხელისუფლებისა და ჟურნალ „ვენახი ჭეშმარიტის" წარმომადგენლები, მგალობელთა გუნდი.

საინტერესო ნაშრომები წარმოადგინეს უფროსკლასელმა მოსწავლეებმა: თეონა გრიშიკაშვილმა, ნათია სახოკიამ, ნინო ჭიაბრიშვილმა, ნინო კასრაძემ, თეა ნებისაძემ (ხელმძღვანელი ანა შალამბერიძე), მარიკა წერეთელმა, თინათინ ზარნაძემ (ხელმძღვანელი ხათუნა ობოლაძე); ანა ალანიამ, მაია დარსალიამ, ლანა ხარაძემ, (ხელმძღვანელი გულიზარ ბიწაძე); ნათია არჩაიამ, მედეა მექანარიშვილმა, ირინე გოგოლაძემ, რუსუდან ჭიაბრიშვილმა, სოფო გოდუაძემ (ხელმძღვანელი მარინე ულენტი); კონფერენციის დასასრულს „ივერიელთა ერთობის კავშირის" მგეობის თავმჯდომარემ ბიძინა გუნიამ საპატრიარქოს სახელით სკოლის დირექტორს შოთა მალაზონიას საჩუქრად გადასცა ბიბლია, ღვთისმშობლის ხატი, სასულიერო ლიტერატურა. სკოლაში მუდმივად ტრიალებს საპატრიარქოს წარმომადგენელი, სასულიერო სემინარიის მსმენელი თამაზ ჩიხლაძე, რომელიც ყოველთვის მზად არის მათთვის საინტერესო საკითხის გარკვევაში დაეხმაროს მოსწავლეებს.

სკოლას ძალიან ხშირად ჰყავს სტუმრები, მისი კურსდამთავრებულები — ჰამლეტ მელაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა დევდარიანი, ონისე თუთბერიძე, ნინო ზაუტაშვილი, ინგა გრიგოლია და სხვები. ასევე ხშირად იწვევენ აქ ცნობილ მწერლებს, პოეტებს, მსახიობებს, ბიზნესმენებს, ერთხელ კი აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენლები ესტუმრნენ ბატონ თამაზ ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით. 62-ე სკოლაში ხომ ძალზე ბევრი აფხაზეთიდან დევნილი ბავშვი სწავლობს და მათ მთავრობის წევრებს უამბეს, როგორ სწავლობენ, რას საქმიანობენ, რა უჭირთ და ულხინთ, ბოლოს თავისი ძალებით კონცერტიც გაუმართეს. იმავე საღამოს დევნილი ბავშვებისადმი გამოჩენილი სითბოს, ყურადღებისა და ზრუნვის თავის 62-ე სკოლის დირექტორს შოთა მალაზონიას და მასწავლებელს გულიზარ ბიწაძეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელები გადაეცათ.

დევნილთა თანადგომის კიდევ ერთი გამოხატულება იყო სკოლაში ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის ქართული თეატრის რეჟისორის, ღირსების ორდენის კავალერის თამარ ხიზანიშვილის მოწვევა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ შარშან მეხუთე კლასის დამრიგებელმა ნაილი დიდებაშვილმა და მოსწავლეებმა ვაჟას „ტყის კომედიის" დადგმა გადაწყვიტეს და ქალბატონმა ნაილიმ დახმარებისათვის თამარ ხიზანიშვილს მიმართა — სწორედ მაშინ დაიბადა საბავშვო თეატრი-სტუდია „მხიარული ნიღბები", სადაც დღეს მოსწავლეები სასცენო ხელოვნებას, გამართულად მეტყველებას, სწორად მოძრაობასა და სიარულს სწავლობენ. თეატრის გარდა, აქ მუსიკალური სტუდიაც არის (ხელმძღვანელი მანანა დავითაშვილი) და ქორეოგრაფიული სტუდიაც, რომლის მოსწავლეებიც ანსამბლ „პატარა ვარსკვლავებში" არიან გაერთიანებული (ხელმძღვანელი მალხაზ ავალიშვილი).

ხომ თითქოს ცოტა არ გვისაუბრია 62-ე სკოლაზე, მაგრამ რომ იცოდეთ, ორი ამდენი, თუ მეტი არა, უთქმელი დაგვრჩა. ალბათ რაღაც გამოგვრჩა, ბევრი ღირსეული მოსწავლე თუ მასწავლებელიც ვერ მოვიხსენიეთ, მაგრამ სკოლის წარმატებები, სიახლეები, რომლებიც გამუდმებით ინერგება მის ცხოვრებაში, უფლებას გვიტოვებს კიდევ ბევრჯერ დავწეროთ მის შესახებ და გვერწმუნეთ, ჩვენ მომავალშიც სიამოვნებით წარმოვადგენთ 62-ე სკოლას ჟურნალის ფურცლებზე.

ღაჯვითის ჟაჭუკვილაჯ

ვლადიმერ ბერიაშვილი

ოთხრიოჯ

— განაგრძე, ბატონო, ამოთქმული ხვაშიადი შენ გულს შეგიმსუბუქებს, ჩვენ კი საქართველოსაკენ სავალ გზას...

ბილიკი გადახრუკულ გორაკებს შორის იკლაკნება, იხვლანჯება, ხანაც ლარივით სწორდება... ჯერ კიდევ შორია საქართველომდე. ეპიტიკოსთა რაზმი დაწალიკებულა, მწყობრს სამი მხედარი მიუძღვის. ხორშაკი დღეა, ცხენები ნელი ნაბიჯით მიჰყავთ, რათა ბუქმა უკან მომავლები არ შეაწუხოს. დავით ლაშას ძე, რომელიც საქართველომ შვიდი წლის წინათ გამოიტირა, ნება-ნება, გულდებით ყვება საკუთარ თავგადასავალს.

— ... გამიცრუვდა იმედი, ბოლო ექვსი თვის მანძილზე რომ ველოლიავებოდი, სამარეში ვეშვები, იქ ცოცხლად უნდა დავიმარხო. უხეშად ჩანთხარი ნოტიო კედლები, ცრემლმდინარე პიტალო მიმაცილებს დღის ნათელიდან გეჰენიურ უკუნამდე. და კიდევ ხორცში ჩაჭრილი თოკი... თუმცა, რა არის ხორციელი ტკივილი იმასთან შედარებით, რაც მოკვდავს შეუძლია სიტყვით — ავენით მიაყენოს მოკვდავს, ხოლო უფრო მტკივნეულია იგი, თუკი ეს მოკვდავი საკუთარი მამიდაა, საყვარელი მამიდაშვილის დედა, სათაყვანებელი მამის დაი...

მაპატიე, უფალო, საყვედურისა გამო, რამეთუ მამიდაჩემი ოდენ ჭურჭელია შენს ხელში, რომლის საშუალებითაც მიგზავნი განსაცდელს, ამიტომ ხამს უდრტვინველად მივიღო განსაცდელი იგი და ვილოცო ჩემი სულის გადარჩენისათვის.

„ყოვლადწმინდაო დედოფალო, დედაო მხსნელისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ცოდვილთა შესავედრებელო და ნუგეშისმცემელო, შენ შეივედრე სული ჩემი, რამეთუ შენ ხარ ნუგეშისმცემელი მწარისა ამის სიობლისა ჩემისა და უმსჯავროდ სიკვდილისა, რამეთუ სამარესა და მიწასა შინაც დაფლულ ვარ მე, მაგრამ საფლავი ჩემი არ საცნაურ იქნების, არამედ მოწყალებათა შენთა მინდობილი ვითხოვ უკანასკნელს ამას ოხჭანსა, რათა მიხსნა ჰაერის მცველთა ხელთაგან და საშინელთა მათ სატანჯველთაგან, რომელსა მიდიან ჩემებრ ცოდვილნი და ბრალეულნი", — აღვავლინე ლოცვა, ვეამბორე ღვთისმშობლის ხატსა და დამიამდა აფორიაქებული სული და გამიცხოველდა იმედი ხსნისა.

ამის შემდგომ მკლავები წინ გავიწვდინე და ხარო გავზომე — შვიდი ბიჯი სიგრძეში გამოვიდა, ექვსი — სიგანეში. თვალში თითს ვერ მიიტანდი, ისეთი წყვდიადი იდგა. ეს მერე, ჟამთა მსვლელობაში შეეჩვია სახედველნი და თითოეულ კუნჭულს ისე ვჭვრეტდი, როგორც საკუთარ ნებს, თავდაპირველად კი... დავაბიჯებდი ხაროს კედლიდან კედლამდე ბედის ტრიალით გაბუცებული... შმორსა და სინოტივეს იოლად მივეჩვიე, საკუთარი ზინზლის სუნს — უფრო ძნელად.

წარმოიდგინეთ... თუმცა, ღმერთმა ნუმც გაჩვენოთ, ხოლო თუ ვერ ნახავთ, ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორია დღის ნათელიდან უცებ სამარეში ცოცხლად მოხვედრა, რომ მცოდნოდა, თუ რა ხანს გასტანდა ჩემი ტუსაღობა, გაძლება გაცილებით გამიადვილდებოდა, მაგრამ მე ხომ სამუდამოდ გამწირეს, სიყმილითა და წყურვილით სიკვდილისათვის გამიმეტეს... თუმც სასოწარკვეთას არ მივცემივარ და უგრძესი შვიდი წლის მანძილზე იმედი არ დამიკარგავს, რამეთუ მტიკიცედა მჯეროდა, რომ არ გაწირავს უფალი წმინდა სინდისის პატრონს. იმედი კი ისეთი რამ ყოფილა, რომ აღელვებულს ზღვიდან გამოიყვანს კაცსა, მხდალი და სულმოკლე კი პატარა წყალში დაიხრჩობა. იმედიანი და სულგრძელი, თურმე, საშინელ ჯურღმულშიაც დაიცავს თავის სიცოცხლეს მრავალი წლის განმავლობაში,

მეორე კი უდროო დროს ჰლევს თავის ღატაკ სულს მდიდარს სასახლეშიაც კი.

სულთანმა სულგრძელად მოიღო მოწყალება და ღვთისმშობლის ხატი დამიტოვა. მას მივანდე უსვეო ჩემი თავი და შევთხოვდი ცისმარე დღეს (თუმც, ერთიან გრძელ ღამედ გადამექცა წუთისოფელი), რათა დავეხსენ საშინელთა მათ სატანჯველთაგან, და შეისმინა უფალმა ვედრება ჩემი. ერთხელაც გადაიხსნა ცა და მომესმა ხმა სანატრელი: „აქა ვარ შენი სოსანა, მე არ მოგაკლებ არც პურსა და არც წყალსა, ვიდრე ღმერთი მოგვხედავდეს და ამოგიყვანდეს მაგ ხაროდან". მერე — ჩამოშვებული თოკი, პური და წყალი და, რაც მთავარია, ნუგეშის ხმა და განსხეულებული იმედი. ვის ძალუძს იმის მტკიცება, რომ თვით განგება არ მოქმედებდა ჩემი სოსანას სახით?!

ჩემი ერთგული სოსანა... ძია ვარამ, და შენც, ძია სარგის, საწყენად არ დაგრჩეთ და, უბრალო ხალხი ბევრ აზნიანს ერთგულებისა და თავდადების მაგალითად გამოადგებოდა.

შვიდი ბიჯი წინ. ცრემლიანი პიტალო. შვიდი ბიჯი უკან. ისევ და ისევ... გეჰენიის უკუნი, ავხანისეული სიჩუმე, ბურნაკივით თავსმოხვეული ფიქრები.

შვიდი წელი საკმაო დროა იმისათვის, რათა იფიქრო, იფიქრო და მრავალ საგანზე საკუთარი დასკვნა გააკეთო.

დიდი გზა გვიძევს საქართველომდე, მაგრამ იმის მცირედ ნაწილსაც კი ვერ გიამბობთ, რასაც ჩემი გონი გადასწვდა. თუმცა, რომ მომესწრო კიდეც, შეუძლებელია, ენით გამოთქვა ყველაფერი ის, რასაც კი ჩემი ფიქრის ფრინველმა გაჭრა ფრთა. ოღონდ, ნუ იფიქრებთ, რომ ყოველ საგანზე, რაზეც კი მიფიქრია, გამზადებული პასუხი გამაჩნია. არის კითხვები, რაც საგონებელში მაგდებს და არა მგონია, ადამისშვილს მასზე უეჭველი პასუხი ეპოვებოდეს. ერთ-ერთი კითხვა ასეთია: საქართველო გაერთიანებული ოდენ მცირე ჟამს იყო ხოლმე; სხვა დროს — დანანწვრებული, დაქუცმაცებული, ძლიერი მტრისაგან შევიწროებულ-დაჯიჯგნილი; მაშ, როგორ მოხდა, რომ ამ პატარა სახელმწიფომ ჩვენს დრომდე მოაღწია და არ გაითელ-გაითქვიფა? ძია ვარამ, და შენც, ძია სარგის, დამისახელეთ მეორე ამგვარი მცირერიცხოვანი ერი, რომელიც ჩვენი ხნისა იყოს და ჩვენს დრომდე მოეღწიოს, შეენარჩუნებინოს ეროვნება, ენა, ხასიათი, საკუთარი სახე? მით უმეტეს, რომ სამწუხაროდ, ერისა და ქვეყნის მოღალატე არასოდეს გვკლებია?

შვიდი წელი საკმაოზე მეტი დროა...

კითხვა — პასუხი, კითხვა — პასუხი... ჟამთასვლა თითქოს შეჩერდა. მარტოოდენ ჩამოშვებული თოკი მახსენებს, რომ კიდევ ერთი დღე და ღამე შეერთებია უსასრულობის მდინარეს.

წყალი. პური. გაგონილი ნუგეშის სიტყვა. ლოცვა. მერე ისევ შვიდი ბიჯი წინ, შვიდი — უკან. კითხვა — პასუხი...

მაშ, ასე. რით არის საქართველო ძლიერი? ერთობით! დღეგრძელი?

ეს კითხვა ნუ გაგვაბუცებს, რამეთუ ძლიერი ჯერ კიდევ დღეგრძელს არ ნიშნავს! რომზე ძლიერი სახელმწიფო მე არ ვიცი, მაგრამ მანაც კი მხოლოდ ათას წელს იარსება. კოლხეთ-იბერიაც დაიპყრეს... მოვიდნენ და წავიდნენ. ჩვენ კი მანამდეც ვარსებობდით, მათ შემდეგაც და, უფალი ინებებს, რომ მონღოლებსაც მათი წყალი გადაესხმებათ, ჩვენ კი ისევ ვიარსებებთ! მონღოლების შემდეგაც შეიძლება, გამოჩნდეს ძლიერი დამპყრობელი, ერი ძლიერი, მაგრამ არა ჩვენზე დღეგრძელი!

რა გვაძლებინებს? თქვენ მეტყვით, ერის ხასიათშია მისი ძალაო — მამულის ერთგული? თავისუფლების მოყვარე? ომში თავგანწირული? მუხლჩაუხრელი მშრომელი? მწიგნობარი, ცოდნის მძებნელი? უდავოა! მაგრამ, იქნებ, შენ-ჩემობის აღმატებულ გრძნობაშიც არის ჩვენი დღეგრძელობა? ქართველმა კარგად იცის, თუ რა არის ძალი და რას ღმერთი არ შეარჩენს. მთავარი კი ებრძვის მეორე მთავარსა თუ მეფეს, მაგრამ ოდენ საკუთარი სამათავროს დამოუკიდებლობისათვის, „ჩემიასათვის"! ქართველ კაცს აზრადაც არ მოუვა სხვისი კუთვნილი დაისაკუთროს, მიწა-საცხოვრისი წაართვას და საკუთარი სახელი დაარქვას. რით არის ეს შესანიშნავი?

დამპყრობელი ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის უმეტესობა იარაღშია ჩამჯდარი და სხვის მიწაზე იბრძვის, ხვნა-თესვა მიტოვებული აქვს. ამიტომ ამ ქვეყნის ხალხში, ძალით თუ უნებურად, ერთი აზრი ბატონდება: თუკი მინდა, რომ მეც ვიარსებო და ოჯახიც ვარჩინო, უნდა ვიალაფო. ჟამთა მსვლელობაში ამ ქვეყნის ხალხში იკარგება მშვიდობიანი შრომის ტრადიცია, ბალღობიდანვე თვალი სხვა ქვეყნებისაკენ გაურბის, ძარცვა-გლეჯისაკენ უვითარდებათ მისწრაფება. და მერე, როცა ზარი დაჭრავს და მათს ქვეყანას სხვა დამპყრობელი დაუწყებს ძოვას, ველარ იცავენ თავსა, რამეთუ სამშობლოს მწველი შეგრძნება გაჭრობიათ (მამა-პაპათა ძვლები სხვის მიწას აპოხიერებს, მათი საფლავის ადგილ-სამყოფელიც კი არ იციან, საკუთარი მიწა არ უხნავთ და უთესიათ — ადგილის დედა დაჭარგვიათ), სამშობლო მათი უკვე იქ ეგულვით, სადაც ძღომისად შეჭამენ, ამიტომ მტერს ველარ უწევენ მედგარ წინააღმდეგობას და გათავებულია მათი საქმე. ამ პირობებში დიდი, ძლიერი, ხალხმრავალი სახელმწიფოები თუ შეძლებენ საკუთარი სახის შენარჩუნებას.

ქართველი კაცის შენ-ჩემობის ის მწველი შეგრძნება კი, რომელიც ხშირად შინაომებში გადაზრდილა და ძმათა სისხლი ზღვად დაუყენებია, სამშობლოს დაცვისას უმაღლეს მწვერვალს აღწევს, რამეთუ: „აქ არის ჩემი მამა-პაპათა საფლავი, აქ არის ჩემი მიწა, სადაც ოფლი და სისხლი ჩამიქცევია, აქ არის ჩემი სალოცავები, საკუთარი ხელით რომ ამიგია..." — დავითი შედგა და ჩაფიქრებული მიწას დააშტერდა. მხლებლებიც შედგნენ. — რა ვიცი... რა ვიცი... უკეთესი მიზეზი ჩვენი დღეგრძელობისა ჩემზე მეცნიერმა მოძებნოს, ან იმან, ვისაც ჩემზე მეტი გაუტარებია სამარეში. — დავითმა მიწას ჩაჰღიმა მერე ცხენს დეზი ჰკრა და თხრობა განაგრძო, თავი არ აუღია.

შვიდი ბიჯი წინ, შვიდი — უკან, ასგზის, ორასგზის, მრავალგზის...

სახედველნი ისე გამიმახვილდა, რომ ჩემი „საბრძანებლის" თითოეულ მისხალს ვარჩევდი, მაღლიდან მოწკაპუნე წვეთების თვალის მიდევნებით ვირთობდი თავს. ჭადრაკის ლაშქარი გამოვძერწე, თიხისაგან — ქართული, პურის გულისაგან — მტრისა და ხშირად ვმართავდი ომს. მტრის მოლაშქრეს როგორც კი მოკლავდნენ, ვიტაცებდი მაშინათვე პირში, — ხითხითებს დავითი.

თოკის ყოველი ჩამოშვება ჩემთვის დღესასწაული იყო, იმ ქვეყნიდან ამ ქვეყანასთან დამაკავშირებელი ხიდი გახდა.

— რა ხდება ქვეყნიერებაზე, სოსანა, რატომ არაფერს მეტყვი?

— რომელი სულთანი მე ვარ, ბატონო, ქვეყნიერების ამბებს რომ მეკითხები?!

— ჩემი მშვენიერი თამარი როგორ არის, ბიჭო, სულთანი მეტისმეტად ხომ არ ავიწროებს?

— თამარს რა უშავს, ბატონო, არის დიბა-ატლასში... რომ მნახო, ბატონო, ველარ მიცნობ, ნამდვილ თათარს დავემსგავსე — განიერი წითელი შა-

ერვალი მაცვია და ჭვინტიანი ქოშები, თავზეც ფუნჯიანი ქუდი მახურავს, ასე უფრო უხიფათოა ხაროსთან ძრომიალი. ამათი ენა ხომ ისე ავითვისე,რომ ხანდახან ქართულად მჭადის სახელი მავიწყდება — ნაღვლიანი სიცილით მეუბნება სოსანა და მე ვხვდები, რომ ჩემი უზადო თამარი მთლად კარგად ვერ უნდა გრძნობდეს თავს სულთნის კარზე, ამიტომაც ცდილობს სოსანა სხვა საგანზე გადაიტანოს საუბარი, ცდილობს, ჩემი ჯოჯოხეთური ყოფის აბები ოდნავ მაინც დამიტკბოს.

... მეგონა, რომ ხაროს ჩონჩხით სავსეს ვნახავდი, მაგრამ როგორი იყო ჩემი გაოცება, როცა ერთი ძვალიც კი ვერ აღმოვაჩინე. და მერეც, მთელი შვიდი წლის განმავლობაში სხვა ტუსაღი არავინ ჩამოუშვიათ, მე ვიყავი იმ სამარის ერთადერთი ბინადარი. არადა, სულთანი ხომ დარწმუნებული იყო, რომ მე ცოცხლებში აღარ ვეწერე! ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემი სიძე არ უნდა ყოფილიყო გულარძნილი და სისხლისმსმელი, და მეც და თამარსაც ოდენ რუსუდანის მზაკვრობით გვჭირდა ჭირი. ეჰ, ჩემო თამარ, გვიღალატა დედამან შენმან. მერედა, რისთვის? რისთვის ჩაგვყარა გეჰენიაში? უღალატო ერთ შვილს, რათა ტახტი მეორეს დარჩეს? ნუთუ ასეთი ხიბლი აქვს ტახტს?

— აქვს, ჩემო ბატონო, აქვს, სიმართლეს სად დავემალებით, — ამოიოხრა ვარამ გაგელმა. — ანგარიში მეტად მარტივი იყო: შენი დაღუპვით ტახტის ერთადერთ მემკვიდრედ რუსუდანის ვაჟი — დავითი რჩებოდა, შენი დაღუპვა კი ოდენ თამარის ცილისწამებით იყო შესაძლებელი. მაგრამ რუსუდანის გეგმებს ასრულება არ ეწერა. მისი ძე ტახტზე დასამტკიცებლად ჯერ ბათოსთან გაგზავნეს, იქიდან კი ყარაყუმის გზას გაუყენეს, მანგუ ყაენთან. მის მერე მისი ასავალ-დასავალიც კი არავინ იცის.

შენი დაღუპვის მოსურნე მამიდა შენი, რაც შენი სიკვდილის ამბავი მოვიდა, სულ გამოიცვალა. ეგონა, შვილის მეტოქის დაღუპვით სიმშვიდეს დაიმკვიდრებდა, და პირიქით კი მოხდა, გაქრა მისთვის მოსვენება, მშვიდობა, იმედი და სიხარული. ალბათ, სინდისის ქენჯნა თუ იგრძნო, მიხვდა, რომ ამაოდ უღალატა საკუთარ ძმას — ლაშა გიორგის, ძმისწულს, საკუთარ ასულს — უმანკო თამარს, უღალატა ქრისტეს მცნებას... სინდისი ხომ იმისთანა მოუსყიდველი მოსამართლეა, რომელიც დღედაღამ სტანჯავს და სჯის დამნაშავეს, იგი ყველა გარეგან სასჯელზე უარესია. შენი სიკვდილის ცნობიდან ორი წლისთავზე მიაბარა რუსუდან დედოფალმა თავისი ტანჯული და ცოდვილი სული უფალს.

— აპატიე შეცოდებანი თავისი და სასუფეველი დაუმკვიდრე, უფალო, — დაკითმა პირჯვარი გარდაისახა და ღვთისმშობლის ხატს ეამბორა. — ამბობთ, ჩემი მამიდაშვილი დავითი ყარაყურუმში გაგზავნესო? მეც, ალბათ, იქ მომიწევს წასვლა, მეც, ალბათ, ნლობით გამაჩერებენ იქ — მონღოლებს ხელს არ აძლევს საქართველოს ტახტზე კანონიერი მეფის დასმა...

— ვილოცოთ და უკეთესის იმედი ვიქონიოთ, ბატონო.

— ეჰ, ძია სარგის, უკეთესის იმედი რომ არ მქონოდა... მწამს, არ დასტოვებს ღვთისმშობელი უიმედოდ მის წილხვედრ ქვეყანასა.

განა ღვთისმშობელმა არ მიხსნა, როცა სიდედრის ცილისმწამებლური ბარათით გამძვინვარებულმა სულთანმა თავდაპირველად აღელვებულს ზღვას მიმცა! ჯერ ხომ მენავეებს შეაცოდა უღვთოდ განწირული ჩემი თავი და ფიცარი მოაცემინა, რომლითაც ორი დღედაღამე აღმა-დაღმა დამაქროლებდა აფოფრილი ზღვა, მერე კი ხელსაყრელი ქარი გამომიგზავნა და ტალღამ ნაპირამდე ისე მატარა, თავზე ერთხელაც არ გადამვლებია. ეს რომ არა, ხორციელად ისე ვიყავი დაუძლურებული, რომ აუცილებლად თევზების საზრდელი გავხდებოდი. — დამწუხრებულმა დავითმა ანაზდად გადაიხარხარა და მხელებლებს მხიარულად მიმოხედა. — რა სატანჯველი გამოვიარე იმ ორ დღე-ღამეში, ძნელი ასაწერია, მაგრამ მერე, ხაროში როგორ ვნატრობდი იმ სატანჯველს! ტანსაცმელი რომ შემომადნა და ტანი მწვირით გამესიპა, სულ ზღვა და ჩანჩქერები მესიზმრებოდა, სულ იმის ფიქრებში ვიყავი, თურმე რა ბედნიერი ვყოფილვარ-მეთქი იმ ორ დღეღამეს.

სხვა რამეც მესიზმრებოდა... თუმც, ახლა მეძნელება იმის მტკიცება, თუ რა იყო სინამდვილე, რა — ძილშორისი თუ ხილვა, ყველაფერი ისე შენივთდა...

ღვთისმშობელი ვიხილე, ნოტიო ლიპი კლდიდან გამოვიდა და თავთან დამიდგა. მუხლებზე დავვარდი და მადლობა აღვუვლინე, რამეთუ ღირსი მყო მისი ბრწყინვალე სახის ხილვისა.

„უფალმან ჩვენმან ისმინა ვედრებაი შენი და მოგიტევა შეცოდებანი შენნი. კვლავაც გელის განსაცდელი, გარნა ადიდე უფალი და მოგეცემა შვებაი".

პირქვე დავემხე მხურვალე ლოცვით.

„აღაღე სახედველნი შენნი", — მოგვესმა ისევ, თრთოლვით ავწიე თავი და...

„მე ვარ, შვილო!" — ჩემ-წინ დადგა ჩემი იდგა და ნაღვლიანად მიღიმოდა. წამიერად გამიწია გულმა, დედის მკერდში ჩაკვრა მოვინდომე, ანაზდად მისი თმის სურნელი მომენატრა ძალუმად.

„ნუ შემეხები, შვილო, რამეთუ სული ვარ მე, უხორცო. მისმინე გულდებით ოდენ. ნუ გაგაბოროტებს მზაკვრობაი მამიდის შენისა და ნუ მიუზღავ შთამომავლობასა მისსა. ვიცი, რომ თამარს თაყვანსა სცემ, ეგრეთვე გული იქონიე დავითის მიმართაც, შეიყვარე იგიც, როგორც ადამიანი, ნათესავი და თანამეფე საქართველოისი. იცოდე, რომ დედის ზაკვაში წილი არ უძევს..." ეს თქვა და გაჰქრა მიწყივ. ვეცი ღრიალით, შეკავება მოვინდომე მცირე ჟამს მაინც, მაგრამ ჩემი ღაწვებივით ნოტიო პიტალოზე აცურდა ხელი — გამქრალიყო ხატება დედისა ჩემისა.

მას მერე ვფიქრობ და ვერაფერი მომიფიქრებია, თუ რას უნდა ნიშნავდეს მისი სიტყვები. რომ ეთქვა „მეფე ქართლისა", ან — „კახეთისა", „მეფე იმერთა", ანდა — „სრულიად საქართველოისი", კიდევ ჰო, მაგრამ... „თანამეფე"?

— ღმერთო მაღალო, შენ დაიფარე მამული ჩვენი! — ვარამ გაგელმა და სარგის თმოგველმა სამგზის ჯვარი გარდაისახეს.

დავით ლაშას ძემ თავი ჩაჰკიდა, მძიმე საფიქრალი გასჩენოდა. და არც არის საკვირველი, რამეთუ მას არ შეიძლებოდა, სცოდნოდა, რომ „სამარეში" წამების წლებს ყარაყორუმში წამების წლები დაემატებოდა, რომ დაკარგული ბიძაშვილ-მამიდაშვილი მანგუ ყაენის ბანაკში შეხვდებოდა ერთმანეთს და ორთავ ცბიერი მონღოლის მზაკვრული გეგმის ნაწილები გახდებოდა, არ შეიძლებოდა, სცოდნოდა, რასაც მოგვიანებით „ქართლის ცხოვრება" ორი დავითის ყარაყორუმიდან მობრუნების თაობაზე დაწერს: „და ვითარ ესმათ ქართველთა მოსვლა მეფეთა მათთა, უზომოთა სიხარულითა აღვსებულნი წინ მიეგებებიან იმერნი და ამერნი წარჩინებულნი და იყო სიხარული და მადლობა ღვთისა მოუთხრობელი, და შემოვიდეს თბილისს სიხარულითა დიდითა და შეკრბეს კათალიკოზთანა ყოველნი ეპისკოპოზნი და ყოველნი მთავარნი და ერისთავნი და დასხდნენ ტახტსა მამათა მათთსა თბილისს, დავით და დავით, ორნივე..."

ოჯოშხერი

წერილი ყვავილებს

გამარჯობა, ყვავილებო! რა ლამაზები ხართ, როგორ ატკბობს და ალამაზებს ბუნებას თქვენი ფერი, ფორმა, სურნელის არსებობა. მაგრამ ძლიერ ცუდია, რომ ამას ყველა ვერ ამჩნევს არ უყვარხარ ან კი რომელიღაც თქვენგანი უყვართ, ერთმანეთისგან გარჩევენ. ეს ძალიან ცუდია. რადგან თქვენ ყველას გაქვთ რაღაც სასიამოვნო.

მე ყველანი მიყვარხართ. ხანდახან ვამბობ, ის მირჩევნია-მეთქი, მაგრამ ბოლოს ჩემს თავზე ვბრაზობ და გული მწყდება. რა კეთილები ხართ, რა ლამაზები, ნაზები, სათუთები, ფაქიზები და მათრობელა სურნელით აღსავსენი. რა ლამაზები ხართ! ნეტავ არასოდეს ჭკნებოდეთ.

ოგოლი ფოთლები

ფოთლები, ჭრელა-ჭრელა, წითელ-ყვითელა ფოთლები.

რა მშვენიერი იყო გაზაფხულზე, როდესაც ყველაფერი ყვაოდა. შემოდგომაზე კი ყველაფერი ჭკნება, ხმება და კვდება. ფოთლები თავიანთ დედებს შორდებიან. შორდებიან სამუდამოდ, სამარადისოდ და მარტო ვეღარ აგრძელებენ სიცოცხლეს. ჩვენ, ადამიანები საბოლოოდ ვუსპობთ სიცოცხლეს ამ სუსტ არსებებს, რომლებიც საზიზღარმა ქარმა საყვარელ დედას მოსწყვიტა და სადღაც გადაისროლა. ვითომდა ჩვენთვის, მშვიდად მივდივართ ქუჩაში, ამ დროს ფოთოლს შევამჩნევთ და გავთელავთ.

უმწეო, უნუგეშო ფოთლები, ისედაც იმედდაკარგულნი კვდებიან „მწუხარედ, ნაზად, მაგრამ უსიხარულოდ". ჩვენ კი გვიხარია და ეს სამწუხარო ამბავი უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს. ხეები ტოტებაპრყობილნი დგანან და ღმერთს ლოცვით ევედრებიან დაობლებული ფოთლების გადარჩენას.

უფრო თბილი გულები

ორი მეგობარი სოფლის ორღობეში მიდის. მათი თვალები ისეთი თბილია... არ ვიცი,მზე ათბობთ, თუ ერთმანეთის სიყვარული, ალბათ, ორივე.

უეცრად რაღაც უცნაური ბგერები მოესმათ, შეჩერდნენ და ყური მიუგდეს. რომელიღაც უცხო ჩიტი შემომჯდარიყო ატმის ხეზე და იქიდან დამღეროდა წყვილს. სახეები უფრო გაუთბათ, გაღიმათ, ბიჭმა ფრთხილად გადაუწია შუბლზე ოდნავ ჩამოყრილი თმა გოგონას და ნაზად აკოცა. გოგონა გაწითლდა და ოდნავ უკან დაიხია. ბიჭმა გაუღიმა, თმა ისევ შუბლზე გადმოუყარა, ხელი მოჰკიდა და ყურში ჩასჩურჩულა:

– იცი, რა თქვა მან?

– ვინ? – გაკვირვებით შეეკითხა გოგონა.

– იმ ჩიტმა, იცი, რა თქვა?!

რაო და, გიორგის და ეკას ერთმანეთი უყვართო, გაიგე? გესმის?! ჩიტმაც კი იცის და შენ რაღა დაგემართა, რა გაწითლებს. უთხარი თქვენებს და...

ამ დროს მოლაზღანდარე ბიჭების გუნდი გამოჩნდა და წყვილი გულდაწყვეტილი დაშორდა ერთმანეთს.

მარიამ მიქიაშვილი

მარიამ და ანა მიქიაშვილი დები არიან. მარიამი უფროსია და შესაბამისად უფრო ფიქრიანი, დინჯი. მის განსაკუთრებულ გონიერებასა და სიბეჯითეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სკოლაში იგი ორჯერ, რომ იტყვიან, „გადაახტუნეს" კლასიდან კლასში და დღეს 13 წლის გოგონა მე-9 კლასის მოსწავლეა.

ანა სამი წლით უმცროსია მარიამზე, მაგრამ ეს სხვაობა სულაც არ უშლის დებს ხელს იმეგობრონ, ფიქრები, სიხარული თუ სატკივარი გაუზიარონ ერთმანეთს. მარიამი და ანა ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს – ორივეს ძალიან უყვარს ბუნება, ოცნება. მათ შორის ერთადერთი განსხვავებაა –უფროს დას თვალის ჩინი აქვს დაკარგული, მაგრამ აბა წაიკითხეთ მარიამის ნაწერები, ნახეთ რა სინათლით, სიკეთით და სითბოთია გამსჭვალული ისინი.

ხილი

თეფშზე დევს ხილი,
მრგვალი და ტკბილი.
ნითელლოყა ვაშლი,
ნაგრძელებული მსხალი,
შავი ფერის ყურძენი
და ჩაშაქრული ატამი.
ეძახიან ბავშვებს:
– მოდით და გვჭამეთ,
გაჯანსაღდით თქვენ,
გაგვახარეთ ჩვენ.

დეიდა თამუნას ანასგან

შენ თოვლივით თეთრო
და მურივით შავო,
ჭიანჭველის ხელავ
და ზვიგენის ტოლო.
ლამაზო და თბილო,
ზარმაცო და გრილო.
შენს დებს შორის ჰატარავ,
სიმაღლეში დიდო.
გძინავს და გძინავს,
ვერ დგები დილას.
მერ მთელ დღეს მუშაობ,
მუშაობ და მუშაობ.
ხოლო სახლში ხომ მოხვალ,
ყურმილს არ დებ დიდხანს,
რომ დედასთან დავრეკო,
როცა მენატრება.
გელოდები დიდხანს,
შენ კი ენას იფხან.

ოცნების სამყაროში

მე ძალიან მიყვარს ოცნება. მიყვარს ზღაპარ-ქალაქში მოგზაურობა, ნეტავ ირგვლივ სულ მთები და ტყეები იყოს, შუაში დაბლობი, დაბლობზე ცხოვრობდეს ცხოველი, ფრინველი, ადამიანი. ყველას უყვარდეს ერთმანეთი. არ არსებობდეს ფული, გამყიდველობა, ავადმყოფობა, ტკივილი, იყოს ისეთი ურთიერთობა, როგორც ფიფქიას, ჯუჯებს, შვლებს, კურდღლებს ჰქონდათ. არ იყოს პოლიტიკა, სიძულვილი და რაც მთავარია, მინდა ყველას თანაბარი უფლებები ჰქონდეს. ისე იყვნენ შეზრდილები ერთმანეთთან და ბუნებასთან, როგორც ხუთი თითი. მინდა, რომ არ ჭკნებოდეს ყვავილი, იყოს სულ მზე.

ანა მიქიაშვილი

„ფუტკარი — XX საუკუნის სუპერვარსკვლავი“ ანუ ერთი საჩვენებელი გაკვეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ტრადიციების მქონე თბილისის 122-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ქალბატონი იზო ჯიქია) მტკიცედ იკიდებს ფეხს სწავლების ახალი მეთოდი — წკა ანუ წერა, კითხვა, კრიტიკული აზროვნება. წერა-კითხვას ჩვენს სკოლებში ყოველთვის ასწავლიდნენ, საკითხზე დამოუკიდებლად მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა კი რა მოგახსენოთ. ხოლო დღეს სწორედ ამ უკანასკნელზე მახვილდება ყურადღება, მარტო დასწავლა-დამახსოვრება არ კმარა, ნებისმიერი ცოდნის შეძენისას ბავშვს უთუოდ აზროვნებაც უნდა შეეძლოს, მხოლოდ ასე შეძენილი ცოდნა დაეხმარება მას მომავალში. ახალი მეთოდი გაკვეთილების ახლებურად აგებას. შესასწავლი თემის ორიგინალურად მიწოდებას მოითხოვს და სწორედ ამ მოსწავლებელს ქეთევან წითლანაძეს გაუზიარა თავისი მოსაზრება. ისაუბრეს, მოითათბირეს და გადაწყვიტეს ერთობლივად ჩაეტარებინათ გაკვეთილი, რომელზეც ფუტკარი ბიოლოგიურ და ისტორიულ ასპექტებში იქნებოდა განხილული. ფუტკრისადმი მიძღვნილი კომბინირებული გაკვეთილის ჩასატარებლად მეექვსე კლასი შეირჩა. მოსწავლეები ხალისით ჩაებნენ უჩვეულო გაკვეთილის მომზადებაში, ყველაზე ზარმაცებიც კი ამოძრავდნენ, სიამოვნებით გაეცნენ მასწავლებლების მიერ მითითებულ წყაროებს, თვითონაც მოიძიეს სხვადასხვა მასალა. თითოეულმა მათგანმა ბევრი ისეთი რამ შეიტყო ფუტკრის შესახებ, ადრე რომ

თხოვნათა შესატყვისი გადაწყვეტილების ძიებაში დაიბადა 122-ე სკოლაში ბიოლოგიის და საქართველოს ისტორიის ერთობლივი, კომბინირებული გაკვეთილის ჩატარების აზრი. თემა ასეთი აირჩიეს — „ფუტკარი — საუკუნეთა განმავლობაში სასიკეთო შრომის სიმბოლო და XX-XXI საუკუნის სუპერვარსკვლავი“.

რაღა მაინცდამაინც ფუტკარი? მოგახსენებთ — საქართველოს ისტორიის მასწავლებელმა ქეთევან ჯანუაშვილმა, რომელსაც პირველდა დაებადა იდეა, რომ მოსწავლეებისთვის საინტერესო იქნებოდა იმაზე მეტი გაეგოთ ამ შესანიშნავი მწერის შესახებ, ვიდრე სასკოლო სახელმძღვანელოშია მოთხრობილი, ბიოლოგიის მა-

ვერც კი წარმოიდგენდა.

კითხვა-პასუხებზე აგებული გაკვეთილი შემეცნებითი თვალსაზრისით ძალზე დატვირთული, იმავე დროს მრავალმხრივ საინტერესო და სახალისო გამოდგა. თუ გაკვეთილზე მოსმენილითა და ნანახით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ მეექვსეკლასელები ფუტკართან დაკავშირებული თეორიული ცოდნით სპეციალისტებს არ ჩამოუვარდებიან.

გაკვეთილზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი ფუტკრის როლს საქართველოს ისტორიაში. გოგო-ბიჭებმა სხაპასხუპით ისაუბრეს იმაზე, რომ საქართველოში ფუტკარი უძველესი დროიდან საღმრთო მწერად ითვლებოდა, რომ არსებობდა ფუტკრის კულტი და რომ წელიწადში ერთი დღე ფუტკარს ეძღვნებოდა, რომ ამ დღეს აკრძალული იყო ფუტკრის ყიდვა-გაყიდვა, აცხობდნენ თაფლის კვერებს, აწყობდნენ კალათაში და საფუტკრის შუაში კიდებდნენ, მამაკაცები ამ დღეს მხოლოდ სკებს აკეთებდნენ, სხვა სამუშაო აკრძალული იყო. ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტური მასალების მოშველიებით გაკვეთილზე ფუტკართან და მეფუტკრეობასთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო ფაქტი იქნა განხილული. ერთმა გაიხსენა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში კოლხებმა მათრობელა თაფლის წყალობით დაამარცხეს ბიზანტიელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი (ბიზანტიელებმა ბევრი თაფლი ჭამეს, ჩაეძინათ და მარცხი იწვნიეს), მეორემ კოხტასთავის აჯანყებასა და ცოტნე დადიანის ვაჟკაცობაზე ისაუბრა; მესამემ X საუკუნეში საქართველოს ეკონომიური სიძლიერის დასტურად ძველი ისტორიულოი წყარო მოიხმო, რომლის თანახმად, თბილისში, თაფლი ძალზე იაფი იყო, 20 დოლარი 1 დირჰემი ღირდა, ხოლო თაფლის სიიაფე ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი გახლდათ. არც ფუტკრის თაფლის სამკურნალო თვისებები დავიწყებიათ და გაკვეთილზე სტუმრად მოწვეულ სახელგანთქმულ მკურნალთა საგვარეულოს ერთ-ერთ წარმომადგენელთან ბ-ნ ზურაბ თურმანიძესთან ერთად თურმანიძეთა მალამოს უებრობის დამადასტურებელი ფაქტებიც გაიხსენეს. ფუტკრის ბიოლოგიურ ჭრილში დახასიათებისას ზოგადად ამ მწერის აღნაგობის, ცხოვრების ნირის, შრომის პროცესის, ოჯახის განხილვის პროცესში მეექვსეკლასელებმა და მათმა მასწავლებლებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება ქართული ფუტკრის თავისებურებებზე, დაწვრილებით ისაუბრეს მის თვინიერებაზე, პროდუქტიულობასა და ხორთუმის სიგრძეზე.

მერე ფუტკარზე საუბარმა ისტორიული წარსულიდან XX-XXI საუკუნეში გადმოინაცვლა და მოსწავლე-მასწავლებლებმა ახლა იმ წვლილზე იმსჯელეს, რომელიც ფუტკარმა ახალი ტექნოლოგიების განვითარებაში შეიტანა, რომელმაც იგი „თანამედროვეობის სუპერვარსკვლავად“ აქცია, მობილური კავშირების სიმბოლოს მნიშვნელობა მოუპოვა. ასეთ

კავშირებს ხომ ფიჭურს უწოდებენ, დიახ, სწორედ ამ ღვთიური მწერის მიერ ნაგებმა სახლმა-ფიჭამ აფიქრებინა ადამიანს მისი მსგავსი გრაფიკული აგებულების მობილური კავშირის სისტემის შექმნა...

ბიოლოგია — ისტორიის პირველმა ინტეგრირებულმა გაკვეთილმა წარმატებით ჩაიარა, ჩანაფიქრმა მიზანს მიაღწია — მოსწავლეებმა მასწავლებლების დახმარებითაც იმუშავეს შეთავაზებულ თემაზე და დამოუკიდებლადაც. თითოეულმა მათგანმა ყოველმხრივ შეისწავლა ფუტკარი, მისი როლი მეურნეობაში, ისტორიაში, ტექნიკაში, მრეწველობაში, მედიცინაში. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბავშვებმა ამა თუ იმ თემაზე, საკითხზე ამგვარ მუშაობას გემო გაუგეს და ამიერიდან სიამოვნებით, ძალდაუტანებლად ჩაერთვებიან ამ პრინციპზე აგებულ სასწავლო პროცესში.

ᲘᲜᲒᲐ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲘ

გოგონას კარგი სმენა რომ ჰქონდა და ძალიან უყვარდა სიმღერა, მშობლებმა ადრევე შეამჩნიეს, თუმცა სერიოზული ყურადღება ამისთვის არ მიუქცევიათ. მაგრამ გამოხდა ხანი და ოჯახში საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ინგა სხვა თავისი თანატოლებივით მარტო შეუცდომლად კი არ იმეორებდა ერთხელ მოსმენილ მელოდიას და უბრალოდ ზუსტად კი არ ბაძავდა ამა თუ იმ შემსრულებელს, არამედ ყოველ სიმღერაში რაღაც თავისასაც აქსოვდა, მთელი არსებით გრძნობდა მუსიკას.

ინგა ქ. რუსთავის მე-8 საშუალო სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ კარაპეტიანების ოჯახი რუსეთში, ნიჟნი ნოვგოროდში გადასახლდა და გოგონამაც იქაურ სკოლაში გააგრძელა სწავლა. შვიდი წლისამ მონაწილეობა მიიღო კონკურსში „Утреняя звезда“ („დილის ვარსკვლავი“). დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა – ინგა კარაპეტიანი ერთ-ერთ საუკეთესო ვოკალისტად აღიარეს და ორ ნომინაციაში მიაკუთვნეს გამარჯვება: „მაყურებლის სიმპათია“ და „ნიჭიერი მომღერალი“. რუსეთში ყოფნისას ინგამ კიდევ რამდენიმე სერიოზულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და დაამტკიცა, რომ მისი პირველი წარმატება შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ინგამ რუსთავის მე-12 საშუალო სკოლაში გააგრძელა სწავლა, დღეს იგი მეათე კლასშია და აქტიურად მონაწილეობს სკოლის მხატვრულ შემოქმედებაში, სხვადასხვა კონკურსში. იგი 1997, 1998, 2001 წლებში გამართული „ეარის“ მონაწილეა.

ინგას ძალიან უყვარს ქართული ენა, შეგნებული აქვს, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია იცოდეს ქართული და ამიტომ მუდმივად ცდილობს გაიმდიდროს მისი ცოდნა. დღეს იგი ისევე სრულყოფილად ფლობს ქართულს, როგორც თავის მშობლიურ ენას. ეს მან 2001-2002 წლებში გამართულ ქართული ენის ცოდნის ზონალურ ტურნირებში გამარჯვებითაც დაამტკიცა.

საერთოდ ინგა აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს, ბევრს კითხულობს, სიამოვნებით მონაწილეობს მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებში და აქაც წარმატებებს აღწევს. 2000 წელს გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე მისმა თემამ „აშუღური პოეზია“ სპეციალური დიპლომი დაიმსახურა. ინგას ხატვაც უყვარს, როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდება, ფანქრებსა თუ საღებავებს მოიმარჯვებს და ქაღალდსა თუ ტილოზე გადააქვს ნაფიქრალი, ნანახი, განცდილი. ინტერესებისა და გატაცებების ფართო სპექტრში წამყვანი ადგილი ისევ და ისევ მუსიკას, სიმღერას უჭირავს, დღეს ინგა სოულის და კლასიკის ჟანრში მღერის და მისი უპირველესი ოცნება და მიზანიც შოუბიზნესში უმაღლესი მწვერვალის მიღწევაა. უნდა ვიფიქროთ, თავისი საყვარელი მომღერლების მერაბ სეფაშვილის, ეკა კვალიაშვილის, ჯორჯ მაიკლის და უიტნი ჰიუსტონის მსგავსად, ინგა კარაპეტიანიც აისრულებს ოცნებას.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲖᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲜᲘ

დიდუბის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ანსამბლი „ჩიორა“ 10 წლისაა, ზუსტად ამდენი წელია მღერის ანსამბლში იოსებ ზოსიაშვილი, ცოტა უფრო გვიან კი დანარჩენ ჩიორებს მისი და, პატარა თამარიც შეემატა. „ჩიორას“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი მათი დედა, ქალბატონი მარიკა ბერიტაშვილი ბრძანდება, მაგრამ საკუთარი შვილები მან მხოლოდ იმიტომ მოიყვანა ანსამბლში, რომ ერთიც და მეორეც ძალიან მუსიკალურები არიან და ძალიან კარგად მღერიან. სოსოს ესპანური სიმღერები მოსწონს და მის რეპერტუარშიც სწორედ ისინი ჭარბობს. როცა იგი „ბანდერას“ ან „ვოლარეს“ მღერის, იგრძნობა, რომ იგი უბრალოდ კი არ ასრულებს ამ სიმღერებს, არამედ გონებით, სულითა და გულით, მთელი არსებით შეიგრძნობს მათ ჰანგსაც, რიტმსაც და სიტყვებსაც. სტეფანე მღებრიშვილის „ახალი წლის ჯადოსნური ღამეც“ ძალიან მოსწონს და ამ სიმღერასაც ყოველთვის სიამოვნებით მღერის.

თამუნას უფრო ლირიკული ნაწარმოებები მოსწონს და ალბათ ამიტომაც ძირითადად დედას სიმღერებს მღერის (დიახ, ქალბატონი მარიკა კომპოზიტორიც გახლავთ). მის მიერ შესრულებული დედას მიერ დაწერილი „თბილისური სერენადა“, „თამუნიას კანფეტები“, „ბარბი“ საყოველთაო მოწონებით სარგებლობს. დედას სიმღერები ხომ უყვარს და უყვარს, მაგრამ ბოშურ „ნანე ცოხასაც“ გულშიჩამწვდომად მღერის და ამასთან სცენაზეც ისე უჭირავს თავი, რომ მსმენელს თვალწინ უმალ ბოშათა ბანაკი და მათი ლაღი ცხოვრება წარმოუდგება. ხოლო როცა პატარა მომღერალი ასრულებს ცნობილ სიმღერას ფილმიდან „ტიტანიკი“, როგორც წესი, მსმენელი მჭუხარე ტაშით გამოხატავს თავის მოწონებას. ყველაფერთან ერთად, თამრიკო კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ სკოლაშიც სწავლობს, ფორტეპიანოს კლასში. მთლიანად ანსამბლ „ჩიორასაც“, ცალკე მის წევრებს იოსებ და თამარ ზოსიაშვილებსაც და ანსამბლის ხელმძღვანელს ქ-ნ მარიკა ბერიტაშვილსაც არა ერთ მუსიკალურ კონკურსსა თუ ფესტივალზე მოუპოვებიათ დიპლომები და ლაურეატის წოდებები. მათი სახელები უცვლელად ფიგურირებს ბოლო წლების „გაზაფხულის ზარების“, „ოქროს მართვეს“, საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის რესპუბლიკური ფესტივალების და მოსწავლეთა შემოქმედების სხვა დათვალიერებების გამარჯვებულ ნომინანტთა შორის. და-ძმა მშობლიური 191-ე საშუალო სკოლის ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობს. ჯერჯერობით მეხუთეკლასელი სოსოც და მესამეკლასელი თამრიკოც საესტრადო კარიერაზე ოცნებობენ, მერე კი... მერე კი დრო გამოაჩენს.

პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ბურნაძე-წიწიკაშვილი

სულს დაუბრუნდეს მხნეობა

ყხენს მოაგელვებს მხედარი,
მტერს მუსრავს, როგორც ჯერეხი,
ათასნილ ნამეხმყხეთარი,
მთა დამზერს ელეხმელეხი,

ყხრა ძეს გვიზრდიდეს დიაცი,
სულს დაუბრუნდეს მხნეობა,
ზეცას სნვდებოდეს ტკრციალით,
სისხლნაყივლები ხეობა.

ეკიბეკინად ეალეაბ მაიალიბობა

კლდეო, სამყაროს ფრთებში ჩაკრულო,
რაც ჟამი გადის, უფრო ფასდები,
ფეხით მოგიარ საგულდაგულოდ.
ნაომარით და ნადარბაზებით.

მხრები გითრთოდა მზედანაკრავი,
მტრის შემოსეულ რიხს არ დანებდი,
მკერდზე გებდღვნოდა სისხლში
საკლავი,
თეთრ სამოსელს რომ იკალთავებდი.

დღესასწაულობს შენში ღვთისობა,
მძიმედ ტორტმანებს მტკვარზე ბორანი,
გადგას გვირგვინად მარადისობა,
გუშინდელი დღის ნაამბორალი.

ზინაიდა ლობჟანიძე

ამ სილამაზით ვცოცხლობ

ბინდი გაიპარა ღამის
და მზით აელვარდა დილა,
გუგულმა თავისთან მიხმო,
შაშვმაც შემომძახა ტკბილად.

ხეები გამართული დგანან
მაღლა ანეული მხრებით,
ტირიფებს, თითქოსდა მტირალთ
თავი დაუხრიათ ნებით.

შუბლი გაუხსნია ზეცას,
არსად ჩანს ღრუბელთა ფთილა,
ბინდი გაიპარა ღამის,
მეფურად მობრძანდა დილა.

ბულბულმა დაიწყო სტვენა.
და ვარდს ჩაეკონა ვნებით,
ტოროლამ კამარა შეკრა
თავისი ფართხალა ფრთებით.

ფოთლებმა ცვარ-ნამი შესვეს.
ლაღად შეიბერტყეს ფრთები.
ხალისით მივყვები ბილიკს
და ამ სილამაზით ვტკბები.





რასაკვა გასკეთ, ქენია...

23 წელია არსებობს ნაძალადევის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში (დირექტორი ქ-ნი ლია გაგნიძე) ესპერანტოს კლუბი „ფლორო“, 23 წელია მოუხარიათ გოგო-ბიჭებს აქეთ, სადაც მათ ელით მუდამ ხალისიანი, მხნე და სიკეთით აღსავსე მასწავლებელი, ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე, რომელიც გარდა იმისა, რომ საერთაშორისო ენას, ესპერანტოს და ცეკვა-სიმღერას ასწავლის, „ფლოროს“ წევრთა აგერ უკვე მერამდენე თაობას უტარებს სიცოცხლის სიყვარულის, მამულიშვილობის, შრომის პატივისცემის, თანაგრძნობის, სიკეთის, ზნეობრიობისა და გულისხმიერების გაკვეთილებსაც. ბევრმა, ძალზე ბევრმა ბავშვმა გამოიარა ამ ხნის განმავლობაში „ფლოროს“ სკოლა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუდარებელმა ლამარა მასწავლებელმა

ყველა მათგანს ულევ საგზლად გაატანა ცოდნა, ურთიერთობისა თუ ქცევის კულტურა, მხარში დგომის ნიჭი, დასახული მიზნისკენ სწრაფვა. ხოლო რაოდენ ბევრს ნიშნავს ყოველივე ეს, ლამარა ცუცქირიძის სკოლაგამოვლილებმა მერე და მერე, ცხოვრების დიდ გზაზე გასულებმა გააცნობიერეს მთელი სიცხადით, თორემ ადრე მათაც, ისევე როგორც მათ წინამორბედ თუ შემდგომ თაობებს, ისევე, როგორც „ფლოროს“ დღევანდელ შემადგენლობას, არც ლამარა მასწავლებლის უშრეტი ენერგია და ხალისი აკვირვებდა, არც მისი უკიდეგანო სიკეთე და სითბო. ცხადია, რომ არა ქალბატონ ლამარას ეს თვისებები და რომ არა მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელის ქალბატონ ლია გაგნიძის ხელშეწყობა და თანადგომა, დღევანდელ პირობებში „ფლორო“ ვერ იარსებებდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე ცნობილი ექიმი-კოსმეტოლოგი გახლავთ და გარდა იმისა, რომ დაუღალავად ემსახურება ადამიანების გალამაზების საქმეს, იგი მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა და ყოველივე ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ „ფლოროში“ ერთი მეცადინეობაც კი არ გაუცდენია და მუდამ მისთვის ჩვეული უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება ბავშვებთან მუშაობას.

აქ არც ერთი დღე არ ჰგავს მეორეს. ერთ მეცადინეობაზე რომ ესპერანტოს თეორიულ ცოდნას იღრმავებენ და იმდიდრებენ, ნასწავლს იმეორებენ, მეორეზე ახალ სიმღერას სწავლობენ, მესამეზე „ფლოროს“ მუზეუმის ექსპონატებს ანახლებენ, მეოთხეზე მთელი პასუხისმგებლობით ამზადებენ მორიგ გასვლით კონცერტს თუ საქველმოქმედო აქციას, მეხუთეზე კლუბის სტუმრების მისაღებად ემზადებიან და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ, ამ დაუღლელი შრომა-გარჯის შედეგი კი ესპერანტოს ცოდნა, დიდი წარმატებით ჩატარებული კონცერტები, აღფრთოვანებული სტუმრების მაღალი შეფასება და გულის სიღრმიდან წამოსული მადლობის სიტყვებია, ასე გულუხვად რომ იმეტებს



ყველა, ვინც კი კლუბ „ფლოროს“ საქმიანობას, აქაური ბავშვების შემოქმედებას, აქ არსებული ესპერანტოს მუზეუმს გაეცნობა.

კარგა ხანია, „ფლოროს“ და მის ხელმძღვანელს საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაეცვნენ. ქალბატონ ლამარას მოსწავლეებმა მოსკოვშიც ისახელეს თავი, ბუდაპეშტში გამართულ ესპერანტისტთა მსოფლიო XI გენერალურ კონფერენციაზეც, ბულგარეთში მშვიდობის VI საერთაშორისო კონფერენციაზეც, ესტონეთშიც... ახლახან კი „ფლოროს“ ინგლისშიც გამოუჩნდნენ მეგობრები. ინგლისში შექმნილი საქართველოს დახმარების ფონდის – Georgian Rilief fund ის (ხელმძღვანელი ბატონი ჯონ კარლეტი) წარმომადგენელთა მეოხებით „ფლოროს“ ბავშვებმა ინგლისელი თანატოლების საჩუქრები მიიღეს. საჩუქრების ჩამოტანის, მათი ადგილზე მიტანის ორგანიზება და მათი დარიგება თავს იდეს საქართველოში Georgian Rilief fund-ის წარმომადგენელმა ნინო ფიროსმანაშვილმა, აგრეთვე ცოლქმარმა, ექიმმა მეგი ბაზაძემ და არქიტექტორმა მიხეილ ბოსტოღანაშვილმა. ლამაზად შეფუთულ კოლოფებში პატარა-პატარა სასწავლო ნივთებთან ერთად ინგლისელი მოსწავლეების ბარათებიც იყო, ისინი ქართველ თანატოლებს დამეგობრებას სთავაზობდნენ და საკუთარ მისამართებს ატყობინებდნენ. მადლობა მიღებული საჩუქრებისა და მინიჭებული სიხარულისთვის „ფლორომ“ საჩვენებელი კონცერტით გამოხატა. კვლავაც ხმაშეწყობით შეასრულეს ბავშვებმა საკუთარი კლუბის ჰიმნი, კვლავაც საუცხოოდ იმღერა „ფლოროს“ სიამაყემ, საესტრადო სიმღერის 2001 წლის რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებულმა ლიკა ჯანანაშვილმა, მშვენიერი იყო ასეთივე კონკურსის 2000 წლის ლაურეატი ანამარა ჯიჯურიძე, „ფლოროს ვარსკვლავები ლევან კანაშვილი, ლიკა ბარბაქაძე, დები ჯელაძეები, და-ძმა ქესაურები, დები ასანიძეები, ბექა პაიჭაძე, გიორგი გაგნიძე სხვები და სხვები, და რაღა, თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, შეუდარებელი იყო „ფლოროს“ დამაარსებელი და სულისჩამდგმელი ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე, რომელმაც კიდეც იმღერა, კიდეც იცეკვა, და თბილი იუმორითა და მოსწრებული სიტყვით ყველა გაამხიარულა – სტუმრებიც და მასპინძლებიც.

„ბედნიერი ვარ, რაგან ღმერთმა სიკეთის ნიჭი მიბოძა. ბევრს ვშრომობ, ჩემი ყოველდღიური დევიზი კი იმ თავით ამ თავამდე არის: „ღმერთო, მომეცი, რათა გავცე... რუსთაველიც ხომ ამას გვასწავლის – „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“ – ღიმილით განაცხადა ქალბატონმა ლამარამ ამ შეხვედრის დასასრულს. გაცემით კი, რომ იცოდეთ, რამდენს გასცემს და არა მხოლოდ მატერიალურს (ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ „ფლოროს“ 70-მდე წევრს სრულიად უსასყიდლოდ ასწავლის, სხვადასხვა ზეიმზე კი ასაჩუქრებს კიდეც. ან ის, რომ პერიოდულად ეხმარება პატიმარ ქალებს, მარტოხელა მოხუცებს და სხვ). იგი უშურველად გასცემს ცოდნას, გულის სითბოს, ზღვა სიკეთეს, ხალისს, იმედს, სანაცვლოდ კი გულწრფელ სიყვარულს და პატივისცემას იმკის.

საკონკურსო წერა. თემა — თავისუფალი. წერენ თბილისის №-11 საშუალო სკოლის მეუფლეკლასელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯადოსნური ჯოხი

მე რომ ჯადოსნური ჯოხი მქონდეს,
გაგეცინებათ
იცით რას ვინატრებდი?
არ გეწყინებათ, –
ჩემი საქართველოს უკვდავებას,
არგადაგვარებას,
ჩემი ხალხის კეთილდღეობას,
არგადაშენებას,
მე რომ ჯადოსნური ჯოხი მქონდეს,
გაგეცინებათ...

თათია ქსოვრელი

გავიმარჯვებთ

რამდენი რამე ჯერ არ მინახავს,
რამდენი რამე არ განმიცდია,
ნუთისოფლის გზა არ დამინახავს,
ჩემი ბილიკიც არ მიპოვნია.
როსლა მოვასწრებ ამის კეთებას
ნუთისოფელი განა გრძელია,
მტრის შემოსევა არ გამიგია,
ჩემი ლახვარიც არ გამინვრთნია.
გული მხურვალე კვლავ ფეთქავს ჩემში,
ჩვენი სამშობლო არსებობს ჩვენით,
და თუ არ დავგმობთ ქრისტიანობას,
ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ გადავრჩებით!

ზვიად კირვალიძე

ნინი საოცრებათა ქვეყანაში

ნინი საოცრებათა ქვეყნის ნახვაზე ოცნებობდა.

ერთ ღამეს ვარსკვლავებით მოჭედილი ციდან ფერადი წვიმა წამოვიდა. ნინის გამოეღვიძა და გარეთ გამოვიდა. ძალიან გაოცდა, თავი სიზმარში ეგონა, მაგრამ ეს ხომ ცხადი იყო. ცაზე კუდიანი ვარსკვლავი დაინახა, სურვილი ჩაიფიქრა და საოცრებათა ქვეყანაში მოხვედრა ინატრა.

უცებ ციდან ჩამოფრინდნენ პაწაწინა ფერიები, ნინის შემოეხვივნენ და ცისკენ გააფრინეს. მალე ისინი საოცრებათა ქვეყანაში ჩავიდნენ. ფერიებმა ნინის იქაურობა დაათვალიერებინეს. ნინი გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქით.

ჯადოსნურ სცენაზე ნინის საპატივცემულოდ დიდი ზეიმი გაიმართა. კონცერტი ულამაზესმა ოქროსთმიანმა უფლისწულმა გახსნა, რომელიც ჯადოსნურ ფლეიტაზე უკრავდა, მასთან ერთად კი ფაიფურის ბალერინა ცეკვავდა. მერე ჯამბაზი გამოვიდა. ნინი და უფლისწული მალე დამეგობრდნენ და უფლისწულმა ნინი ჯადოსნურ მინდორში წაიყვანა, იები დაუკრიფა, ულამაზესი გვირგვინი დაუწნა. გვირგვინიც ჯადოსნური იყო, არასდროს დაჭკნებოდა.

ნინის საოცრებათა ქვეყნიდან წამოსვლა აღარ უნდოდა, მაგრამ იცოდა, რომ შინ დედ-მამა ელოდებოდა. სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა წასულიყო.

გამომშვიდობებისას პაწაწინა ფერიებმა ნინის ჯადოსნური ბროლის პეპელა აჩუქეს. როცა საოცრებათა ქვეყანაში ჩამოსვლა მოენატრებოდა, ამ პეპელას ეტყოდა და ისიც მაშინვე აქეთ გამოაფრენდა.

თამუნა რუსიტაშვილი

გაფრინდა

– ეჰ, რა დრო იყო, – ამბობს ბუხართან მჯდომი მოხუცი ქალი. – ერთი წუთიერი გაფრინდა წლები, გაფრინდა ბავშვობა, ახალგაზრდობა. ხელში შემრჩა მხოლოდ მოგონებები. ნეტავ ერთხელ კიდევ მანახა ის ბურთი, მამამ რომ მომიტანა ან ის თოჯინა, დედამ დაბადების დღეზე რომ მაჩუქა! როგორ მინდა ჩავიხუტო თოჯინა კესო და ვუმღერო იავნანა, შევფუთო ნაჭრებში და დავაძინო, როგორ მინდა ის ბურთი კიდევ ერთხელ მაინც დავახეთქო მიწაზე!.. ეჰ, სადღაა ეს ყველაფერი... სადაა დედის ალერსი... ვინღა მომეფერება... არავინ, ეზოც ჩემთან ერთად დაბერდა. აღარ არიან ის მხიარული ხეები, მაშინ რომ იყვნენ. აღარ დარბიან ბავშვები. ხეებიც ჩემსავით მხრებში მოიხარნენ და ახლა ჩემთან ერთად ისინიც მისტირიან წარსულს. გაფრინდა ყველაფერი, წავიდა...

გარეთ ზამთარია. თოვს. ცივა, ზის მხრებში მოხრილი ქალი ბუხართან და მისტირის წარსულის გაფრენილ წლებს.

ოლიკო მარსაგიშვილი

მოხუცი, ყვავილი და გოგონა

შორს, მთის ფერდობზე გაშენებულ პატარა სოფელში ერთი მარტოხელა მოხუცი ცხოვრობდა. მას კოხტა და მუდამ ლამაზად მოვლილი ყვავილების ბაღი ჰქონდა. მოხუცი დილიდან საღამომდე ბაღში ფუსფუსებდა და ისე ეალერსებოდა ყვავილებს, როგორც ცოცხალ არსებებს. მისთვის ყვავილების გარდა არაფერი არსებობდა. პატარა გოგონა, რომელიც სოფელში სტუმრად იყო ჩასული, ყოველდღე ამ ბაღის შორიახლოს ტრიალებდა და ერთი სული ჰქონდა, როდის აღმოჩნდებოდა ამ ბაღში სურნელოვან ყვავილებთან, მაგრამ მოხუცთან მისვლის ერიდებოდა. ერთხელაც ბაღთან რომ მივიდა, გოგონამ მოხუცებული ვერსად დაინახა, ელოდა, ელოდა და ბოლოს ბაღში შესვლა გაბედა, მერე სახლშიც შეიხედა და საწოლში მოკუნტული მოხუცი დაინახა, ავად გამხდარიყო. გოგონამ მოხუცს მისივე ბაღში დაკრეფილი გვირილის ჩაი გაუკეთა, მოხუცმა შვება იგრძნო. გახარებული გოგონა კი ბაღში დარბოდა და უამბობდა ყვავილებს, როგორ მოარჩინა მოხუცი. ყვავილები კი მადლობის ნიშნად თავს დაბლა ხრიდნენ.

მარიამ საჯაია

ლამაზი ტყუილი

ზოგჯერ ადამიანს ტყუილის თქმა უხდება სურს მას, თუ არ სურს. ჩვეულებრივ ტყუილი ცუდი შედეგით მთავრდება, მაგრამ მე მოგიყვებით ამბავს იმ ტყუილზე, რომელსაც შეიძლება „ლამაზი ტყუილი“ ვუწოდოთ.

22572

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოვნი წერილი

ყველაფერი გათავდა, სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს. რა დამრჩენია, რისთვის მოववლინე ქვეყნიერებას. ვხარობდი ისე, როგორც ყველა. ვემალებოდი ბედისწერას, მაგრამ მიპოვნა ბოლოს ქუჩაში, მომძებნა სახლშიც. გამანადგურა ისე, როგორც სხვა მრავალი. მეგონა, შემეძლო წინ აღვდგომოდი, გავუჩინარებულიყავი, მაგრამ არა... მაინც დამამარცხა. წავიქეცი მაშინ, როცა წამით გავიელვე ადამიანთა მზერაში, როდესაც ჩავიდინე რაღაც დიადი, დღეს კი... ამ წერილის დაწერაღა დამრჩენია, მერე კი, მერე... იქნებ ასე მაინც გავაღვიძო ზანტი სინდისი...

მთვარე ამოდის, სავსე მთვარე, მისი მიბნედილი შუქი სახეზე მომელამუნა. ზღვა ხმაურით ეხეთქება სანაპიროს. მეჩვენება, რომ ჩემი შთანთქმა სურს. მეც ჩასაძირად განწირულ გემს ვემსგავსები.

სანთლები ქრება. ის მოვიდა. ის... ვისიც მეშინია და ვისაც დიდი ხანია ველი, ნეტავ, სიკვდილია ეს თუ სიცოცხლე? გული საშინლად მიფრთხიალებს. ო, როგორ მინდა დავასვენო გადაღლილი გონება, მაგრამ სად არის სიმშვიდე, სად არის ძილი? ჩემი სტუმარი სავარძელში ჯდება. ჩუმად აუღელვებლად. თვალი თვალში აქვს გაყრილი და ელის, ელის როდის ვიტყვი იმას, რაც მას სურს. მორჩა, გათავდა...

მარიკა ედიშერაშვილი

ჩემი სახელოვანი და კეთილი ბაბუა

მე მყავს 85 წლის ბაბუა, რომელიც არის დიდი სამამულო ომის მონაწილე. როდესაც მოგვითხრობს თუ როგორ იბრძოდა, ჩვენ, მისი მონაგარი ყოველთვის ყურადღებით ვუსმენთ ხოლმე. მან მონაწილეობა მიიღო 18 ქალაქის აღებაში, რისთვისაც მიღებული აქვს უამრავი მედალი და ორდენი, პირადად იოსებ სტალინის ხელმოწერით კი – მადლობის ბარათი.

მართალია, ომის დამთავრების შემდეგ ბაბუა დაჭრილი დაბრუნდა, მაგრამ ერთი დღეც არ ყოფილა დაუსაქმებელი. წლების მანძილზე მოღვაწეობდა ისნის რაიონის სასამართლოში მსაჯულად, შემდეგ სხვადასხვა თანამდებობაზე. სადაც უნდა ეღვაწა ყველგან მადლობას იმსახურებდა.

მოუსვენარმა ბაბუამ ვერც პენსიაზე გასვლის შემდეგ შეძლო უმუშევრად ყოფნა. აეროდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაკვეთი იყიდა და საუკეთესო ბაღი გააშენა. ჩვენ, მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები ყოველთვის მივდიოდით რთველზე, ვკრეფდით ყურძენს, ხილს, ვწვავდით მწვადებს და იყო ერთი ერიამული.

ამჟამად ბაბუა ლოგინს არის მიჯაჭვული, წნევამ დაარტყა და მარცხენა ხელ-ფეხი წართმეული აქვს. ჩვენ, მისი მონაგარი, არ ვაკლებთ ყურადღებას, რადგან იგი არის სიყეთით სავსე ბაბუა.

ნინო ნაცვლიშვილი

ვაშა გაზაფხულს!

ვაშა, გაზაფხულს, ვაშა! – სიხარულით გაიძახოდა ბუნება, როდესაც ზამთარმა სცენა გაზაფხულს დაუთმო. გაზაფხულიც დატრიალდა და ზამთრისაგან გაყინული გულის გათბობას შეუდგა. როდესაც თბილმა დარებმა ყველა კუთხე-კუნჭული შემოიარეს, ცაზე კუდმაკრატელა შავი მერცხლები ამოსრიალდნენ. მიწამ შვებით ამოისუნთქა და თან ხასხასა ბალახიც ამოატანა. ყველგან გაზაფხულის ნაზი სურნელება ტრიალებდა, ციდან საამო ჰანგები ისმოდა. ბუნება ტაშით შეეგება გაზაფხულის შემობრძანებას. გაზაფხული კი ამით არ კმაყოფილდებოდა და უფრო დიდ სასწაულების ახდენდა. მთელი ძალა და ღონე მოიკრიბა და უამრავი ათასფერი ყვავილი აქეთ-იქით მიმოაბნია, მაგრამ მას კიდევ მეტი სილამაზის ხილვა უნდოდა ირგვლივ. ხეებს ჯერ კიდევ ეძინათ. მათ სული შთაბერა, სითბო აპკურა და ყვავილებით გადაპენტა. მაშინ კი ბუნებამ საბოლოოდ გამოიღვიძა, მიმოიხედა და დარწმუნდა, რომ მიწაზე არ დარჩა ადგილი, სადაც ყვავილს არ ამოეხეთქა, არ დარჩა ხის ტოტი, სადაც ფოთოლი არ გამოსულიყო. გალამაზდა, გამშვენიერდა არემარე, გაზაფხულმა

☞

ტაძარი

ტაძარი... ირგვლივ სიჩუმე, სევდა... მხოლოდ კედლები, ხატები, შავებში ჩაცმული მლოცველი ქალი. თვალებზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის, თითქოს რაღაცას ნანობს, საკურთხეველთან მუხლებზე დამდგარა, გულზე ხელი მიუდია და ტირის. ნეტავ რა ატირებს, რას ნანობს? რა მოხდა? მთელ ტაძარში მხოლოდ მისი ტირილი ისმის. ზოგჯერ რაღაცას წაიბუტბუტებს, მერე პირჯვარს იწერს, ლოცულობს, ზოგჯერ კი ღმერთს ხმამაღლა უხდის ბოდიშს. საკურთხეველს კოცნის.. ეხუტება... ზარები კი რეკენ, განუწყვეტლივ რეკენ.

– დროა, ჩაიბუტბუტა დედაბერმა.

ელენე პატეიშვილი

უცნაური შემთხვევა

ზაფხულის ერთ დღეს სოფელში ყოფნისას მე, მარი და ეკა კვირაცხოველის ეკლესიისკენ გავიპარეთ. იმ დროისათვის პაპაჩემი უკვე გარდაცვლილი იყო. მივდიოდით და გვიხაროდა, რომ უფროსებმა ვერ გაიგეს ჩვენი წასვლა. ვიცინოდით, ვმღეროდით. სასაფლაოს რომ მივუახლოვდით, შევყოყმანდით, ცოტა შეგვეშინდა კიდეც (საფლავებთან ბევრი ეკალია და ხშირად ხვლიკებიც არიან). როგორც იქნა, გავიკვლიეთ გზა, მივადექით ეკლესიას და... იქ მოხდა უცნაური რამ – შორიახლოს მოხუცი კაცი დავინახეთ, რომელიც ისე ჰგავდა პაპაჩემს, რომ ვიფიქრეთ, სასწაული მოხდა და ლევანი პაპა გაცოცხლდა. იმ კაცმა დაგვიძახა, ჩვენ ლამის გული წაგვივიდა და თავქუდმოგლეჯილები კისრისტეხით გამოვიქეცით უკან...

ახლა ვზივარ, ვიხსენებ იმ უცნაურ შემთხვევას და სევდა მეუფლება. მენატრება ჩემი ტკბილი ლევანი პაპა და საყვარელი სოფელი მსხალტბა. იქ წასვლა მინდა, მაგრამ ვინ მიშვებს მარტოს... არა უშავს, კვლავ მოვა ზაფხული, დაცხება და ისევ სოფელს მივაშურებთ. ჯერჯერობით კი უნდა მოვითმინო. „ვინც მოითმენს, ის მოიგებსო“ – ამ ანდაზით ვსარგებლობ ყოველთვის და ახლაც, როცა ასე მოუთმენლად ვოცნებობ ჩემს ლამაზ, ამწვანებულ სოფელზე.

ანა ბეჟანიშვილი

მე დავბრუნდები

მე მართლაც მოვალ შენს ფანჯრებთან გამთენიის წინ,
მოვალ ნვიმად და მოვალ თოვლის ფანტელად,
რადგან
ადამიანად მოვლინება მე აღარ ძალმიძს
შემოვიხედავ, აღვასრულებ ლოცვას უნმინდესს,
თუ თოვლად მოვალ, დაგადნები ხელის გულებზე,
და თუ გავქრები, იცოდე, რომ კვლავ დავბრუნდები,
ნვიმის ნვეთებად დაგეცემი თვალის უპეზე.

მარიამ ენდელაძე

საქართველოს ეროვნული

ბუნებას სიცოცხლით სავსე გული გადაუშალა.

ამასობაში შხაპუნა წვიმაც წამოვიდა, დასასრულ კი მოწმენდილ ცაზე ბედნიერების მანიშნებელი ცისარტყელა გადაირკალა.

ნატო ჯიმუხაძე

მოხუცი და ზღვა

მხრებში მოხრილი, მუშაობისგან ხელებდაკოჟრილი ბერიკაცი იჯდა ზღვის სანაპიროზე და სევდიანი თვალებით იყურებოდა. ცოტა მოშორებით პატარა ბავშვი ბურთს თამაშობდა, უცებ ბურთი მოხუცისაკენ გაგორდა და მის ფეხებთან გაჩერდა. ბავშვმა მიირბინა და მხიარული თვალებით მიაჩერდა მოხუცს.

– რა გქვია, პატარავ? – ალერსიანად ჰკითხა მოხუცმა.

– მარი, – ხალისიანად უპასუხა ბავშვმა.

– თქვენ? თქვენ რა გქვიათ? – ჰკითხა მან.

– ვაჟა, – ოხვრით უპასუხა მოხუცმა.

– შვილიშვილები გყავთ?

მოხუცმა ნაღვლიანად ამოიოხრა და უპასუხა:

– არა.

– რატომ? – გულუბრყვილოდ იკითხა ბავშვმა და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა მოხუცს.

მოხუცმა ბავშვს სევდიანი ამბავი მოუთხრო.

– მე ძალიან კარგი მოცურავე ვარ, პატარაობიდანვე შესანიშნავად ვცურავ. ერთხელ ზღვაზე რომ ვიყავი, განგაში ატყდა, ვიღაცა იხრჩობოდა. დაუფიქრებლივ გადავეშვი და ნაპირზე გამოვიყვანე. მშვენიერი ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა, მალე ერთმანეთი შეგვიყვარდა. რამდენიმე თვის შემდეგ დავინიშნეთ, მაგრამ იმ წყეულ დღეს...

– რა? რა მოხდა იმ დღეს? – არ აცალა ბავშვმა სიტყვის დამთავრება.

– მან სასეირნოდ წასვლა მთხოვა, გული არ მიმიწევდა, მაგრამ მაინც წავყევი. მზიანი დღე იყო, მაგრამ გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა, თუმცა არაფერს ვიჩენდი. ჩვენ ღრმად გავცურეთ ზღვაში. უცებ ქარი ამოვარდა, ძლიერი ტალღები წამოვიდა. ზღვა აბობოქრდა. ნაპირზე ვეღარ გამოვდიოდით. იგი ფსკერისკენ წავიდა. მე თვალთ დამიბნელდა და როცა გონს მოვედი, ნაპირზე ვიწექი და ხალხი დამტრიალებდა. მე ის მოვიკითხე, მაგრამ...

ამ ზღვამ წამართვა, ზღვამ შეიწირა მისი სიცოცხლე. ზღვა რომ არა, ის ახლაც ცოცხალი იქნებოდა, – თქვა მოხუცმა და კენჭი ზღვაში ისროლა.

ნათია ჯაფარიძე

ოცნებები და რეალობა

ყველაფერი ყოველთვის არ არის ისე, როგორც ჩვენ გვინდა. ოცნება მხოლოდ სიზმარში სრულდება, მხოლოდ არარეალურ სამყაროში შეგიძლია იყო ის, ვინც გინდა. მხოლოდ შენ მიერ დახატულ ნახატში, შენ მიერ დადგმულ სპექტაკლში შეგიძლია ითამაშო მთავარი როლი.

მე მინახავს ბავშვი, რომელიც ხელგაწვდილი იდგა ეკლესიასთან და ოცნებობდა თბილ კერაზე. ოცნებობდა მოსიყვარულე მშობლებზე, ყოველი დაბადების დღის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად აღნიშნაზე. უნდოდა ახალ წელს სხვა თანატოლებთან ერთად გაეხარა, უნდოდა სკოლაში ევლო. როგორც სხვა ბავშვებს, მაგრამ დღეს იგი ისევ ხელგაწვდილი დგას და დახმარებას გვთხოვს, ისევ ის უბედური ბავშვია, გუშინ რომ იყო, მას ხელი აქვს ჩაქნეული ცხოვრებაზე და მხოლოდ ოცნებით ცხოვრობს.

ღამე, როცა მთვარე ღრუბლებიდან ამოცურდება, გოგონა კიბეზე ჩამოჯდება, თვალებს დახუჭავს და მიფრინავს არარეალურ სამყაროში, სადაც ოცნებები ელიან, ელის სითბო და ზღაპრული ცხოვრება. ამ ზღაპარში ის პრინცესაა, რომელიც თავისი სილამაზით ყველას ხიბლავს და ძალიან ბედნიერია. მაგრამ თენდება და ოცნებებიც ქრება, ხოლო პრინცესა ისევ პატარა მათხოვრად იქცევა.

ნონა ნაფეტვარიძე

ეს გაზაფხულიც მოვიდა

საამურმა სითბომ გააღვიძა დედამიწა. ყოველ დღეს რაღაც ახალი მოაქვს. სინათლე და სიხალისე იფრქვევა. ტყეებზე კოკორი გაჩნდა, რამდენიმე დღეც და თეთრი ყვავილები და ფოთლები იფეთქებს. მიწამ სუნთქვა დაიწყო და მის სურნელს ამოჰყვა ბალახი და ადრეული ყვავილები.

გაზაფხულის დღეები ხალისით მავსებს. მოწმენდილი ცა და აფეთქებული ხეები თითქოს მეძახიან, გარეთ მიწვევენ. წვიმის წვეთებიც, ქარიც და ჰაერიც გაზაფხულის მათრობელ სურნელად მეხვევა და ქუჩაში მსუბუქად მივაბიჯებ. ადამიანები ღიმილით ხვდებიან ერთმანეთს, მინდვრის ყვავილებით ულოცავენ ერთმანეთს გაზაფხულს.

ვყიდულობ იებს, ფურისულებს, კორჩიოტებს, ვკრავ თაიგულს და ჩავცქერი პაწაწინა თვალებში. იღიმებიან, მესალმებიან, მიწის სურნელს მაფრქვევენ. თითქოს ტკივილიანია მათი ღიმილი, თუ ტკივილს მე ვგრძნობ, რადგან უფრო მენატრება ჩემი მშობლიური ეზო-კარი, ჩემი ბაღჩის ყვავილები, იქ, აფხაზეთში. ნეტავ ისინიც აყვავდნენ? იღიმებიან? რამდენიმე წელია მოლოდინით ვცხოვრობთ; ყოველ გაზაფხულს სხვაგვარად ველი; მგონია, წვიმის წვეთიც აფხაზეთიდან მოიჩქარის, გაზაფხულის სუნიც, ქარიც და მეძახიან. აი, ეს გაზაფხულიც მოვიდა. მოვიდა ხალისით, ჭიკჭიკით სიცოცხლით და იმედით სავსე. მინდა სიოდ გადავიქცე და გადავფრინდე მშობლიურ მხარეში.

ანა ხრიკაძე

ფოთოლცვენა

ამ ხალხის გამკვირვებია, ყველა ასე სიხარულით რატომ ხვდება შემოდგომას? მეც მიხარია, ბუნება რომ ნაირ-ნაირ, ფერად კაბებს ჩამაცვამს, მაგრამ მომავლის შიში არ მტოვებს. მეშინია ძირს ჩამოვარდნის, გათელვის თუ დამსხვრევის. რა ვქნა, ყველას უყვარს თავისი დედა და მეც რატომ ვიქნები გამონაკლისი? მეც ხომ მჭავს ჩემი მშობელი – ხე. მან გამაჩინა, დღეს კი შემოდგომის ქარი გადამკიდებია, თავს დამტრიალებს, მემუქრება და შთანთქმას მიპირებს, სურს, მომწყვიტოს ჩემს მშობელ დედას, რომელიც ასე სათუთად მივლის და მკვებავს. ჩვენ ხომ ერთმანეთს ვავსებთ და ვალამაზებთ, ხესაც არ ვეთმობი, ხელები მაღლა აღუპყრია და ღმერთს ევედრება: მომეცი ძალა, შევირჩინო ჩემი მშვენიერება, ჩემი სამოსელიო.

ბუნებას ასე დაუწესებია, ზოგნი მიდიან და ზოგნიც მოდიან. მეც ამ იმედით ვსულდგმულობ და სადღაც, გულის პაწია კუნჭულში, იმედის ნაპერწკალი მიღვივის, დღეს მე ვარ, ხვალ სხვა შემცვლის ჩემნაირი, ჩემბრ კოპწია და ნაზი. ისევ ამწვანდებიან ხეები და კვლავ იშრიალებს ფოთოლი. შენ კი, ქარო, იბობოქრე, იგრიალე, არ დაზოგო შენი ძალა და ღონე, მოსპე სუსტი ფოთლები, შენ გგონია, მიაღწევ საწადელს? არა, ხე კვლავ შეიმოსება მწვანე ფოთლებით.

ხატია ქსოვრელი

მამულო!

მამულო ჩემო, რად დაბეჩავდი?
რად ნაგეკიდა მაგ გულზე ცეცხლი?
შენ ალბათ ახლა დავითი გინდა,
დავითი ჩვენი აღმშენებელი.
თუ ცხრა ძმა გინდა, ხერხეულიძე
იქნებ გიორგი, იქნება ოტინე?
ეჰ, თუმცა ჩვენ ამას ვერ შეგისრულებთ,
მაგრამ გჯეროდეს – აგაღორძინებთ.

ქრისტინე ჭელიძე

რატომ ვამბობთ ასე?

ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული — უპატრონოდ ხომ არ არის დატოვებული ხალხი, ნუთუ გაჭირვებულთ ქომაგი არა ჰყავთ! ღარიბები ჩალას, მიწის შემდეგ, პირველყოფილ სახურავად ხმარობდნენ, რადგან ყავარზე უფრო ადვილი საშოვნელი იყო. ისე რომ გამოთქმა „ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული“ გულისხმობს ქვეყანას სადაც ღარიბი და უპატრონო ხალხისთვის სიმართლე, ხსნა და შველა არ არსებობს, დაკარგულია.

ქვეყნის, ყველას მამიდა — ყველას პატრონი, ყველასთვის მზრუნველი. მამიდა თავისი ძმისწულებისთვის განსაკუთრებით ზრუნავს, მათი პატრონობა თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია. დროთა განმავლობაში მამიდის ამგვარი ზრუნვა ხატოვნად მიაკუთვნეს ყველა გულკეთილ ადამიანს, ვინც ცდილობს ყველას დაეხმაროს, ტკივილი დაუამოს, სიკეთე უყოს.

ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა — გაჯიუტდა, გაკერპდა. ერთხელ ერთ კერპ, თავისნათქვამა კაცს აუხირებია: მიყურეთ, ქვას ავაგდებ, თავს შევუშვერ და რომ მომხვდეს კიდეც, არას დამაკლებსო. ბევრი უშალეს, მაგრამ იმას თავისი არ დაუშლია, შეუგდია ქვა და თავი შეუშვერია. ქვა დასცემია და თავი გაუტეხავს. დღეს ეს თქმა ადამიანის ჯიუტობის, სიკერპის გამოსახატავად იხმარება.

საფლავიდან ამოღება. მიცვალებულის შეგინება, გალანძღვა. ქართველთა მიცვალებულის დასაფლავების წესის თანახმად, მიცვალებული აუცილებლად უნდა დასაფლავდეს და იგი ადგილიდან არავინ დაძრას. ამიტომ, ცხადია, მიცვალებულის საფლავიდან ამოღება შეუნდობელ და საშინელ ცოდვად ითვლებოდა ქართველის თვალში.

ჩა ღა ჩა ჰქვია ჩას ღა ჩას?



ქერეჭი
— მწერთა ფრთა. იგივეა რაც ქერცლი, ქერქი.

ქაჩაჩი
— ცხენის, ვირის და მისთანების ჩლიქი.

ქსუ
— შეუჩვეველი, მფრთხალი (ცხოველი, ფრინველი).

ღველფი
— ფერფლმოდებული, ნაცრიანი ნაკვერჩხალი

ყაშყაში
— არწივის, ორბის და მისთანათა ხმაური, ყივილი.

ყოყინი
— ზაქის, კამეჩის ხმიანობა.

ჩხა
— კაპებიანი საკიდარი, კაჩხა. ირმის დატოტვილი რქა. ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად.

ჩქერი
— მდინარის სწრაფი დინება კალაპოტის დაქანებულ და ქვიან ადგილას.

ცუდმედიდობა
— ამპარტავნობა, მედიდურობა, ყოყოჩობა.

ცხენკარგი
— ვისაც კარგი ცხენი ჰყავს, ვინც კარგ ცხენზე ზის.

წათხი
— ყველის შესანახად მომზადებული მარილიანი შრატი.

წანწალა
— ხიდად გადებული ძელი.

გაზაფხული

(ზღაპარი)

ერთ სოფელში ცხოვრობდა გოგონა, სახელად გაზაფხულა. გოგონა ერთ ბიჭთან მეგობრობდა. მას თემური ერქვა. ერთხელ მეგობრები სასეირნოდ წავიდნენ, მაგრამ ღია ცის ქვეშ გაზაფხულა გაქრა. რა უნდა ექნა თემურის? ადგა და ძებნა დაუწყო. ბიჭი ერთ გამოქვაბულში შევიდა და რა დაინახა – გაზაფხულა იების და ენძელების კაბაში იყო გამოწყობილი, თავზე ლამაზი ყვავილების გვირგვინი ედგა. გამოქვაბული სავსე იყო იებით, ენძელებით და ნაირ-ნაირი ყვავილებით. თურმე ეს გამოქვაბული გაზაფხულის დედოფალს ეკუთვნოდა. იგი ახლა შეუძლოდ იყო და სურდა მის მაგიერ გაზაფხულას მოეფანტა მინდვრებში იები და ენძელები. ადამიანები ხომ ამ ყვავილების გამოჩენით იგებენ გაზაფხულის მოსვლას.

დედოფლის დავალების შესრულებაში გაზაფხულას თემურიც დაეხმარა და მალე სოფლის ველ-მინდვრები ლამაზი ყვავილებით დაიფარა.

ანა მღებრიშვილი,
გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის საშუალო სკოლის I კლასი.

ბუნების გამოღვიძება

ჯერ კიდევ სუსხია, თუმცა ჰაერში გაზაფხულის სურნელი იგრძნობა. მართლაც საოცარია ბუნების გამოღვიძება: ხეებს ყვავილობის ჟამი დაუდგებათ, პირველი ცვარი აციმციმდება პირველ ბალახზე, პირველი ჭექა-ქუხილი შეძრავს არემარეს, თქრიალით წამოვა მთიდან მღვრიე, ბობოქარი ნიაღვარი, შემდეგ კი გამოიდარებს, გამოანათებს ალერსიანი მზე და მწვანედ აბიბინდება ახლად აქოჩრილი ხასხასა ბალახი.

გაზაფხულის მზის სინათლეზე გამოვლენ პირველი ყვავილები: ია, ყოჩივარდა, ენძელა... აბდღვრიალდება ატამი და ნუში. ტოროლას გალობა შეუერთდება მომძლავრებულ წყაროთა რაკრაკს. ბუნების გამოღვიძებას წინ ვერაფერი დაუდგება.

ნინო კობახიძე,
თბილისის 141-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე

ზვიად გიგოშვილი, აბასთუმნის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე მეკობრეები

ძალიან მიყვარს სათავგადასავლო წიგნები. ახლახან წავიკითხე „განძთა კუნძული“. მაინტერესებს, დღეს თუ არსებობენ მეკობრეები?

ზალიკო ზაალიშვილი, 12 წლის.

სახენაცვალი ზღვის ყაჩაღები, მეკობრეები დღესაც არსებობენ. თუმცა მათ შორის ვერც ლეგენდარულ მისონის, ვერც ჯონის ან კლიფარდის მსგავს ფლიბუსტიერებს შეხვდებით, მაგრამ მეკობრეობა, როგორც მოვლენა, რომელიც საზღვაო ვაჭრობის განვითარებასთან და ზღვაზე ომების დაწყებასთან ერთად იშვა, დრო და დრო მაინც შეგვახსენებს თავს.

შარშან მაგალითად, მსოფლიოში ადგილი ჰქონდა 335 მეკობრულ თავდასხმას. მათგან 91 შემთხვევა ინდონეზიაზე მოდის, 52 კი ინდოეთსა და პაკისტანზე. ერთ-ერთ ასეთ თავდასხმას ემსხვერპლა ამას წინათ ამერიკის 1995 და 2000 წლების თასის მფლობელი, ახალზელანდიელი ზღვაოსანი სერ პიტერ ბლეიკი.

ზღვებითა და ოკეანეებით დაფარული სივრცის გარკვეულ მონაკვეთებზე კვლავაც დათარეშობენ მეკობრეები. ერთ-ერთი ასეთი მონაკვეთია ინდონეზიის კუნძულ სუმატრას და მალაიზიის გამყოფი მალაკის სრუტე, რომელიც მსოფლიოში თითქმის ყველაზე გაცხოველებული მიმოსვლის მაგისტრალად ითვლება. წელიწადში წყლის ამ დერეფანს დაახლოებით 45 ათასი სხვადასხვა დანიშნულებისა და ტონაჟის ხომალდი გაივლის. ყველა მათგანის ეკიპაჟი ინფორმირებულია სრუტეში მოსალოდნელი ყაჩაღური თავდასხმის თაობაზე და ამიტომაც მკაცრად იცავს მიღებულ ინსტრუქციებს: ლიუკები დახურული უნდა იყოს, რეიდსა თუ პორტში დგომისას ტრაპები იმდაგვარად უნდა იყოს აწეული და დამაგრებული, რომ პოტენციური თავდამსხმელებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდეს, აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს ღამის ვახტები, გემბანებზე დამატებითი განათება და ა შ. შესაბამის მომზადებას გადიან ეკიპაჟის წევრებიც.

გარდა ამისა, ხომალდს მუდმივი კავშირი აქვს პორტის ხელმძღვანელობასთან. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ხომალდებს მაინც ხშირად ესხმიან თავს. მაგალითად, 1999 წელს სინგაპურიდან მადრასში რომ გადადიოდა, ტაილანდის სანაპიროსთან შეიარაღებული მეკობრეები თავს დაესხნენ ლიტვის კუთვნილ კონტეინერმზიდ „ალგიდრასს“. თავდამსხმელებმა აბორდაჟით აიღეს გემი და იარაღის მუქარით ეკიპაჟს ფული მოსთხოვეს, შეტაკებისას კაპიტანი დაჭრეს.

როგორც წესი, თანამედროვე მეკობრეები სატვირთო გემებს ირჩევენ, ხელში იგდებენ მათ, მერე კი ჰყიდიან იმას, რაც ამ გემებს გადააქვთ. უფრო ხშირად ბენზინით, საავიაციო ნავთით, პალმის ზეთით დატვირთულ მომცრო ტანკერებს იტაცებენ. მსხვილი და ძვირადღირებული ტვირთების გატაცების უკან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჩინური წარმოშობის განგსტერთა ჯგუფები დგას. როგორც ამბობენ, მეკობრეები მარტონი არ მოქმედებენ, პორტებსა და საზღვაო გადაზიდვათა კომპანიებში მათ ჰყავთ ინფორმატორები, რომლებიც აწვდიან ცნობებს ხელში შედარებით ადვილად ჩასაგდებ ხომალდებზე და ამით საქმეს უადვილებენ.

არის შემთხვევები, როცა ერთი დღით შექმნილი ცალკეული საზღვაო კომპანიები ნადავლის ხელში ჩასაგდებად ზღვის განგსტერებს საკუთარ ხომალდებს უთმობენ. ის კი არა, ზოგი სახელმწიფო ვალუტის მიღების მიზნით უფლებას აძლევს მეკობრეებს ძარცვისას მისი ეროვნული დროშით ისარგებლონ. ასეთ სახელმწიფოთა რიცხვში ასახელებენ ჰონდურასს, პანამას, სენტ ვინსენტსა და გრენადინს. როგორც კი სკანდალის სუნი დატრიალდება ყალბი სანაოსნო კომპანიები უმალ თვითგაუქმებულად აცხადებენ თავს. სწორედ ასეთ საფარქვეშ მოქმედებდნენ მეკობრეები, რომლებმაც შარშან მარტში ხელში ჩაიგდეს ინდონეზიის საზღვაო გადაზიდვათა კომპანიის „პელნის“ კუთვნილი გემი, რომელსაც კალა, კალის მადანი და სანელებლები გადაჰქონდა. შუა ზღვაში გემი გაიჩერა სწრაფმავალმა კატარღამ, რომელსაც არავითარი ამოსაცნობი ნიშნები არ ჰქონდა. ცხადი იყო, შეუიარაღებელი მეზღვაურები მაჩეტეებითა და თოფებით შეიარაღებულ მომხვდურებთან ვერაფერს გახდებოდნენ და ამიტომაც წინააღმდეგობის გაწევა არც უცდიათ. მეკობრეებმა ეკიპაჟის წევრები თოკით ორ-ორად გადააბეს, მათსავე გემზე გამობმული სათადარიგო ბარკასში ჩასხეს და ციცქნა უკაცრიელ კუნძულზე გადასხეს, გემი კი ტვირთიანად გაიტაცეს. საბრალო რობინზონები მეორე დღესღა აღმოაჩინეს ადგილობრივმა მეთევზეებმა. ამასობაში მეკობრეები გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ. ინდონეზიის მხარემ მომხდარის შესახებ საერთაშორისო საზღვაო ბიუროს აცნობა, ამ უკანასკნელმა კი განგაში ატეხა და საყოველთაო საზღვაო ძებნა გამოაცხადა. ერთობლივმა ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო – ფილიპინების სანაპირო დაცვის კატარღებმა გატაცებულ გემს ამ ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში მიაკვლიეს, ტვირთი ხელუხლებელი იყო, სამაგიეროდ თავად გემი გადაეღებათ და სახელიც შეეცვალათ. ეტყობა, იგი ისევე ტვირთიანად უნდა გაეყიდათ. ამ ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ მეკობრეებმა ინდონეზიის ტერიტორიულ წყლებში ჰონდურასის სატვირთო გემი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ ამ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო პატრულებმა სულ მალე აღმოაჩინეს იგი, ტვირთიც დააბრუნეს და დატყვევებული მეზღვაურებიც გაათავისუფლეს. როგორც ამბობენ, გემის გატაცებაში ურევიან ინდონეზიის ერთ-ერთი პროვინციის ისლამი სეპარატისტები, რომლებიც ინდონეზიისგან გამოყოფას ლამობენ. ბოლო დროს მთელ მსოფლიოში გამწვავებულმა ვითარებამ ზღვაოსნებსაც მოუმატა საფიქრალი, შეიარაღებულ თავდასხმათა ალბათობა საზღვაო გზებზეც გაიზარდა.

ხუთი პიჭი ერთი უბნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი, ბექა, ზურა, ვასიკო და შალვა საგარეჯოში, მამისაშვილების უბანში ცხოვრობენ, ერთად ტელქობენ, ერთად იზრდებიან, ერთად თამაშობენ. მათ ჯიდევ ერთი რამ – სპორტით გატაცება აერთიანებს.

გიორგი

გიორგი ჩაფიქემ ფეხბურთი აირჩია, ოთხი წელია სპორტის იმ სახეობას მისდევს. ჯერ საგარეჯოში ვარჯიშობდა რეზო ხებრელიშვილის ხელმძღვანელობით, მერე თბილისში, ოლიმპიური რეზერვების სკოლასთან არსებულ ფეხბურთის აკადემიაში გაიარა გამოცდა და ახლა აქ დავით ჩახავას ხელმძღვანელობით აგრძელებს ვარჯიშს.

თავიდანვე მეკარეობა აირჩია, თუმცა მთლად ასე არც ყოფილა. საგარეჯოს „გარეჯში" იმ დღეს მეკარე არ ჰყავდათ და გიორგის შესთავაზეს, მიდი, შენ დადექი კარშიო. ის იყო და ის – ისე მოეწონა მეკარეობა, და ისე კარგად გამოუვიდა, რომ მოედნის მოთამაშის ამპლუაზე აღარც უფიქრია. მერე და მერე იმასაც მიხვდა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მეკარეს გუნდში, რამდენი რამ არის მასზე დამოკიდებული და ახლა ბევრიც რომ ეხვეწონ, აღარც თავდამსხმელად ითამაშებს და აღარც მცველად. გიორგი სერიოზულად ფიქრობს ფეხბურთელის კარიერაზე, თუმცა ახლავე გაცნობიერებული აქვს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ფეხბურთს აირჩევს თუ სხვა პროფესიას – ცოდნა და განათლება აუცილებლად უნდა გააჩნდეს. ამიტომაც არც სკოლაში ზარმაცობს. განსაკუთრებით მათემატიკა უყვარს, ინგლისურსაც მთელი სერიოზულობით სწავლობს.

ბექა

„გარეჯში" პირველად რომ მივიდა, თავი გადახოტრილი ჰქონდა და ბიჭებმა რონალდო შეარქვეს. თუმცა მას შემდეგ ქოჩრიანი დადის, დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელის სახელი მაინც შერჩა და ვინ იცის, იქნებ მომავალში ბექა ფეიქრიშვილი ისეთი ფეხბურთელი დადგეს, რომ ახლა უკვე მისი სახელი გახდეს ფეხბურთის მოყვარული ბიჭებისთვის საამაყო. ჯერჯერობით კი ბექა საგარეჯოს მოსწავლეთა გუნდის „გარეჯის" ნახევარმცველია და რაკიღა ფეხბურთელობას აპირებს, მთელი სერიოზულობით ეკიდება საწვრთნელ ვარჯიშებს. შარშან საგარეჯოს რაიონის პრიველობაზე, რომელშიც 20 გუნდი მონაწილეობდა, ბექას „გარეჯმა" საპატიო მე-5 ადგილი დაიკავა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ წარმატებაში ბექა ფეიქრიშვილმაც შეიტანა გარკვეული წვლილი. ფეხბურთი ფეხბურთად და ბექას სხვაც ბევრი რამე აინტერესებს, უყვარს წიგნების კითხვა, თუმცა სკოლაში ფრიადოსანი არ არის, მაგრამ არც მაჩანჩალაა, საყვარელ საგნებში კი, კერძოდ ზოოლოგიაში, ისტორიაში რუსულსა და ინგლისურში სხვებს არ ჩამორჩება.

ზურა

საგარეჯო ყოველთვის განთქმული იყო მოჭიდავეებით, მარტო დიდი არსენ მეკოიშვილი რად ღირს! აქაური ქარსაულიძეების გვარშიც ბევრი სახელოვანი მოჭიდავეა და ზურასაც მათ შემხედვარეს მიეცა გული, მშობლებმაც ურჩიეს და აგერ უკვე რამდენიმე წელია იგი საგარეჯოს ჭიდაობის სკოლაში (დირექტორი ვ. მეკოიშვილი) მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილთან დადის თავისუფალ ჭიდაობაზე. თუმცა ზურას ჯანი და ღონე არ აკლია, მაგრამ არასდროს ავიწყდება, რომ ჭიდაობაში ბევრი რამ ხერხზე, სისწრაფეზე არის დამოკიდებული, ამიტომაც გულმოდგინედ ვარჯიშობს, ითვალისწინებს მწვრთნელის ყველა შენიშვნას და დღითიდღე წინ მიიწევს.

ზურა ქარსაულიძე საგარეჯოს 1 საშუალო სკოლის მეექვსე კლასში სწავლობს და როგორც თვითონ ამბობს, ყველანაირი ნიშანი აქვს, ორიანების გარდა. უყვარს კითხვა, ლექსებსაც წერს და თუმცა ზურას ლექსებში ბევრი რამ არის დასახვეწი, ბიჭი მაინც ახერხებს თავისი ნაფიქრალის ხატოვნად გადმოცემას და მის გულწრფელ სტრიქონებში კარგად ჩანს, როგორ უყვარს ზურას დედა, რა დიდ პატივს სცემს სახელოვან წინაპრებს.

ვასიკო და შალვა

მეხუთეკლასელი ვასიკო მამულაშვილი და შალვა ქარსაულიძე (შალვა ზურას ძმაა) სკოლაშიც ერთ მერხზე სხედან და ჭიდაობაზეც ერთად დადიან, ერთ მწვრთნელთან ვარჯიშობენ (რამაზ ასაბაშვილი), ერთი ის არის, რომ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ჭიდაობენ. შალვა უფრო მსუბუქია, 26 კილოგრამს იწონის, ვასიკო კი 29 კილოგრამია. ორივე პერსპექტიულ მოჭიდავედ ითვლება და ორივეს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რაიონის მოსწავლეთა ნაკრების წარმატებაში. ახმეტაში ამას წინათ გამართულ მერაბ ქუშანაშვილის ხსოვნის ტურნირზე ვასიკომაც და შალვამაც თავი ისახელეს და ყველას შეახსენეს, რომ მათი მშობლიური საგარეჯო მრავალი ბეჭდაუდებელი ფალავნის სამშობლოა. ჯერ პატარები არიან, ღონეც შედარებით ნაკლები აქვთ და გამოცდილებაც, მაგრამ მოჭიდავისთვის აუცილებელი ჭეშმარიტება უკვე შეთვისებული აქვთ – მთავარია სიმშვიდე, სისწრაფე, ფანდი, გონიერება. ხალიჩაზე რომ გადიხარ, არ უნდა იჩქარო, არ უნდა იფაციფუცო – დარწმუნებით აცხადებენ ვასიკო და შალვა და მათ ჭიდაობას რომ უყუროთ, თავად დარწმუნდებიო, რომ ბიჭები ეს სიბრძნე არასდროს ავიწყდებათ.

ვასიკო სკოლაშიც ყოჩაღობს, ცოტა რუსულსა და ინგლისურში მოიკოჭლებს, ოთხიანები ჰყავს, თორემ დანარჩენ საგნებს სულ ფრიადებზე სწავლობს, განსაკუთრებით მათემატიკა უყვარს.

მელომანი ცხოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არცთუ დიდი ხნის წინათ რამდენიმე მუსიკოსმა კონცერტი გამართა, რომლის მსმენელები მარტო სპილოები გახლდნენ.

მსმენელებს მოეწონათ არია „ო, ჩემო ნაზო გუდა-სტვირო!“ (სოლო ვიოლინოზე) ბოკერინის ერთ-ერთი კვარტეტი რომ სრულდებოდა (მუსიკოსებს იგი ძალიან მოსწონთ), სპილოებმა მთქნარება დაიწყეს; სამაგიეროდ, „მშვენიერი გაბრიელა“ აღტაცებით მოისმინეს: დინჯად აბარტყუნებდნენ ვეებერთელა ყურებს, მუსიკის ტაქტს აყოლებდნენ, ხორთუმს იქნევდნენ და გაჰყვიროდნენ.

გამოირკვა, რომ სპილოები დაბალ ხმებს ბასისა და ბუკის მაღალ ხმებს ამჯობინებდნენ, მელოდია კი ჰარმონიული მოსწონდათ.

ოთხფეხა მელომანებმა მაესტრო დუვერნუას (რომელიც დიდხანს უკრავდა ბუკს) თავისებური ოვაცია გაუმართეს: ტანზე ხორთუმები შემოხვიეს, თითქოს ეალერსებიან და მადლობას უხდიანო.

მოქმედებს თუ არა მუსიკა ცხოველებზე? აქვთ თუ არა მათ ოდნავ მაინც მუსიკალური გემოვნება? შეუძლია თუ არა სპილოს ერთი მელოდიის მეორისაგან გარჩევა?

მეცნიერულად თუ შეამოწმეს სპილოს მუსიკალურობა? დიახ, შეამოწმეს. მეცნიერებმა რენშმა და რაინერტმა მიუნსტერის (ვესტფალია) ზოოლოგიურ ინსტიტუტში ჩაატარეს ცდები ინდურ სპილოებზე.

ჯერ სცადეს გაეგოთ, განასხვავებენ თუ არა ეს ცხოველები ერთიმეორისაგან ცალკეულ ტონებს.

დაიწყეს ორი წმინდა ტონით. ერთი დადებითი სტიმულის ტონი იყო, მეორე — უარყოფითისა. მოდით, ავხსნათ ეს სიტყვები.

სპილოებს პირობითი რეფლექსების მეთოდით წვრთნიდნენ. დადებით ტონს რომ გაიგონებდა, სპილო ტიხარში ხორთუმს გაჰყოფდა ხოლმე და საგანგებო ყუთის სახურავზე ურტყამდა. ამ დროს საგანგებო მოწყობილობა ამუშავდებოდა და სპილოსკენ პურის ნაჭერს გამოაცოცებდა. ეს იყო მისი შრომის საზღაური. მაგრამ აი, უარყოფითი ტონი გაისმის, სპილო არც კი იძვრის. მან იცის, რომ ამჯერად

პირის ჩასატკბარუნებელს ვერ მიიღებს.

სპილოებმა თანდათანობით ექვსი წყვილი ტონი დაისწავლეს. თვითოეული სპილო თორმეტივე ტონს ცნობდა, ახსოვდა მათი დადებითი თუ უარყოფითი მნიშვნელობა, აღმოჩნდა, რომ ამ ცხოველს დიდებული სმენა ჰქონია; ასევე — მახსოვრობაც: ნახევარი წლის შემდეგ სპილო უშეცდომოდ იმეორებდა მთელ თავის მუსიკალურ პროგრამას.

მეცნიერები დააინტერესა სპილოს უდავო მუსიკალურობამ და გადაწყვიტეს განეგრძოთ ცდები. მაგალითად, შეუძლია თუ არა სპილოს რომელიმე მოკლე, თუნდაც პრიმიტიული მელოდიის დახსომება?

აქ მკვლევარები კურიოზულ პრობლემას წააწყდნენ: საჭირო გახდა სპილოსათვის განსაკუთრებული მელოდიების შეთხზვა, თანაც ეს მელოდიები ძალზე მარტივი უნდა ყოფილიყო. და მოიგონეს: შეთხზეს პლუს და მინუსმელოდიები. ყოველ პლუს-მელოდიას რაიმე სასუსნავი მოსდევდა. აბა, რა აზრი აქვს მუსიკის მოსმენას, თუ ყელს ვერ ჩაიკოკლოზინებ!

პლუს-მელოდია სამი ნოტისაგან შედგებოდა: პირველი ნოტი ნებისმიერი იყო, მეორე — პირველზე მაღალი, მესამე — მეორეზე დაბალი. მაგალითად, დო-სიფა. როგორც ხედავთ, ნოტების ანბანის ყველა მცოდნეს შეუძლია სპილოსთვის მუსიკის შეთხზვა.

მინუს-მელოდიაც სამ ნოტს აერთიანებდა, ოღონდ მუსიკალური ბგერების თანმიმდევრობა აქ პირიქით იყო: მეორე ტონი — პირველზე დაბალი, მესამე — პირველზე მაღალი, ვთქვათ ასე: „სი-დო-რე“.

სპილომ ორივე მელოდია დაისწავლა და ერთმანეთში არასოდეს ეშლებოდა. ისე კი, პლუს-მელოდია უფრო მოსწონდა! შემდეგ მკვლევარებმა ხმის ტემბრის გადასმა-გადმოსმა დაიწყეს, ცალკეულ მელოდიებს ხან აამაღლებდნენ, ხან დაადაბლებდნენ. მაგრამ, ნურას უკაცრავად, სპილო ასე იოლად ვერ მოატყუეს! იგი მელოდიებს ერთიმეორისაგან მაინც ადვილად არჩევდა.

შეიძლება თუ არა სპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელომანი ცხოველები

ლოსათვის განკუთვნილ მელოდიას მუსიკა ვუწოდოთ? ეს საკითხი სადავოა. მაგრამ სპილოს ერთგვარი მცირე მუსიკალური ნიჭი რომ აქვს, ამის უარყოფა არ შეიძლება.

აქვთ თუ არა ცხოველებს რიტმის გრძნობა?

არისტოტელე მოგვითხრობს: სიბარიტები თავიანთ ცხენებს ფლეიტის ხმაზე ცეკვას ასწავლიდნენ. ეს თავშექცევა მათ ძვირად დაუჯდათ. მათმა მტრებმა კროტონელებმა ამ ამბით ბრძოლის დროს ისარგებლეს: იერიშზე გადასვლისას კროტონელებმა ფლეიტები აახმიანეს, ამ ხმას მიჩვეულმა ცხენებმა ცეკვა დაიწყეს, იმის მაგიერ, რომ წინ გაჭრილიყვნენ.

კიდევ ერთი მაგალითი.

ერთხელ რომის იმპერატორმა დომიციანემ დიდი ზეიმის მოწყობა გადაწყვიტა. მისი ბრძანებით რამდენიმე სპილო უნდა გაეწვრთნათ — საბალეტო ნომრები ესწავლებინათ. სქელკანიან მოცეკვავეებს საკმაოდ რთული პა და ფიგურები უნდა შეესრულებინათ. ერთ-ერთ მათგანს არაფერი არ გამოუდიოდა. იგი გაჯოხეს, გაკვეთილი ვერ დაიზუთხეო. თურმე ამის შემდეგ ეს მსახიობი, მთვარიან ღამეში, განმარტოებით, საკუთარი ინიციატივით, გულმოდგინედ გადიოდა თავისი გაკვეთილის რეპეტიციას...

მაგრამ ეს მაინც ძველი ამბავია, ახლა მივმართოთ ჩვენი დროის ავტორიტეტებს.

ყოფილმა პროფესიონალმა მუსიკოსმა ლეონარდ ვილიამსმა მასთან თითქმის ბუნებრივ პირობებში მცხოვრები მაიმუნების ქცევების შესწავლა დაიწყო. მისი აზრით, მაიმუნის მუსიკალურ ნიჭზე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ არ გესმოდეს მუსიკის ჭეშმარიტი ბუნება. მუსიკის შეგრძნება მხოლოდ ადამიანს შეუძლიაო — განაცხადა ვილიამსმა.

ამ მტკიცებას ცირკის მწვრთნელებმაც დაუჭირეს მხარი: მაიმუნებს რიტმის ნამდვილი გრძნობა მართლაც არა აქვთო. მწვრთნელი რუდი ლენცი ყვებოდა: მე მყავს შიმპანზეების დასი, რომლებიც „ჯაზ-ორკესტრის" სცენას თამაშობენ. ისინი დიდი გულმოდგინებით მუშაობენ, ყველაფრით ეტყობათ, დიდ კმაყოფილებას რომ გრძნობენ: აღგზნებულნი არიან, ფეხებს ატყაპუნებენ, დასარტყამ საკრავებს ახმიანებენ. მაგრამ მუსიკალური ნომრებისათვის გაწვრთნილი ოცდაათი შიმპანზედან ერთსაც კი არასოდეს გამოუმჟღავნებია თუნდაც მცირე რიტმული ნიჭი თვით ისეთი უბრალო ნომრის შესრულების დროსაც, როგორიც გახლავთ თანაბარზომიერი კაკუნი.

მაიმუნების რიტმული ნიჭი ყველაზე იშვიათად მაშინ ვლინდებოდა, როცა მათ ნელ რიტმს ასწავლიდნენ. მუსიკალურობა ამ დროს განსაკუთრებულად არის საჭირო. ეს კარგად მოეხსენებათ მუსიკის მასწავლებლებს, რომლებიც საშუალო სმენის ბავშვებს ასწავლიან. დამწყები მუსიკოსები ტემპს ხელად აუჩქარებენ ხოლმე.

და მაინც უნდა ითქვას: ცხოველები მუსიკის მიმართ არ არიან გულგრილნი. მრავალი ექსპერიმენტით დამტკიცდა, რომ მუსიკა არა მარტო იზიდავს ცხოველებს, არამედ მათ ქცევებზეც ახდენს გავლენას.

თუ დაფიქრებულხართ, რატომ ვმღერით ხოლმე? იმიტომ, რომ მუსიკალურები ვართ? არაფერიც! ხომ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ხმა სრულებით არა აქვთ, და ისეთებიც, სმენის ნატამალი რომ არ გააჩნიათ? ამღერებისათვის სრულყოფილი სმენა კი არ არის მთავარი, არამედ — ემოციურობის ნიჭი, გრძნობათა სიმდიდრე, სულიერი სიჭაბუკე...

ასევეა ცხოველებშიც. ბევრი მათგანი სრულიად უმიზნოდ ყვირის, ბღავის თუ ღრიალებს, მაგრამ საკუთარი ხმის გაგონება მას უთუოდ სიამოვნებას ანიჭებს.

კარლ მოორი წიგნში „ცხოველთა თამაშობები" იგონებს: ჩემს მეგობარს პუდელი ჰყავდა. როცა პატრონი მღეროდა, პუდელი ხმას ააყოლებდა, თანაც, მელოდიის მიხედვით, ხან ხმამაღლა აყმუვლდებოდა, ხან კიდევ — ხმადაბლა.

მწვრთნელების აზრით, ცხოველები აუცილებლად მუსიკის თანხლებით უნდა იწვრთნებოდნენ. მუსიკა მათზე კეთილად მოქმედებს — ამხიარულებს და მხნეობას ჰმატებსო.

დათვი, ცხენი, სპილო და ძაღლი ყველაზე მომთხოვნი მელომანები არიან. მათ წყნარი მუსიკა ვერ ააცეკვებს, ისინი ხმამაღლა აჟღერებულ ორკესტრს მოითხოვენ. მაიმუნი და თუთიყუში კი ყოველგვარ მუსიკას სჯერდებიან, ოღონდ ხმაურიანი იყოს.

მაგრამ თურმე მაიმუნიც არის და მაიმუნიც. მოდი, მომღერალ ორანგუტანგს მოვუსმინოთ.

თურმე მღერის მხოლოდ და მხოლოდ ხვადი ორანგუტანგი სიმღერისთვის რომ ემზადება, იგი მცირე ხანს ჩაფიქრებულია, მერე ხმას ისინჯავს, ბოლოს კი მთელი ხმით ამღერდება. ამ დროს ორანგუტანგი ძალიან კმაყოფილი ჩანს. საერთოდ, ცხოველი მხოლოდ თავისი სიამოვნებისათვის მღერის.

„ᲘᲣᲜᲘ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲘᲡᲢ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფთმხენრი

მონაცრეჭა

მე საქართველოს იმ ლამაზი კუთხიდან ვარ, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია. იქ ჩემი სამშობლოა, იქ დავიბადე და გავიზარდე. იქ ჩემთვის მუდამ გაზაფხული იდგა, მუდამ მერცხალი ჭიკჭიკებდა, მაგრამ... თითქოს ღრუბელი მიწაზე ჩამოფრინდა, ჩემს ცხოვრებაში სიცივე შემოიჭრა, ზღაპარივით მოხდა ყველაფერი, მაგრამ ზღაპარში ბოროტს კეთილი სძლევს, ჩემს ცხოვრებაში კი პირიქით მოხდა. ბოროტმა ძალებმა წამართვეს სახლი, კარი, მშობლიური მიწა. ყოველ დღეს ხვალინდელი დღის იმედით ვაღამებ. მომენატრა, ძალიან მომენატრა ჩემი მხარე. ფერად-ფერად სიზმარში ვეახლები ხოლმე ჩემს სახლ-კარს „სტუმრად", შემოვივლი ყოველ კუთხე-კუნჭულს, სიხარულით დავრბივარ, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ სიზმარში ხდება, თვალს გავახელ და ყველაფერი ქრება.

ღმერთს ვთხოვ ჩემი სიზმარი ცხადად ამიხდინოს, დამაბრუნოს მონატრებულ სამშობლოში და მაცხოვროს თავისუფლად, უშიშრად და ბედნიერად. იმედი მაქვს, უფალი კეთილი თვალით გადმომხედავს.

დათო ქარდავა,
აბასთუმნის საშუალო სკოლის
VI კლასის მოსწავლე

ღედაშვილობა

არდადეგებზე დედამ სოფელში წაგვიყვანა დეიდასთან. ეს სოფელი ძალიან ლამაზია, მას გარშემო გორები აკრავს, გვერდით მდინარე ჩამოუდის, ბავშვებმა საცურაო აუზიც კი გაკეთეს და სიცხეში ვგრილდებოდით. ჩემი დეიდაშვილების ფისოს ძალიან ლამაზი კნუტები ჰყავდა, ერთი განსაკუთრებით ლამაზი, თეთრი და ფუმფულა იყო. დეიდა შემპირდა ამას შენ გაჩუქებო.

ჩემს დეიდაშვილს გული დაწყდა, მაგრამ არ შეიმჩნია. ის ხომ ვაჟკაცია. წამოსვლის დროც დადგა. რაღაც მანძილი ფეხით უნდა გაგვევლო. მე კნუტი წამოვიყვანე, მაგრამ გზაში ჩემს დეიდაშვილს გულმა ვერ გაუძლო და ცრემლები გადმოყარა. რაღა უნდა მექნა, კნუტი დავთმე.

ყველაზე მთავარი მერე მომხდარა. თურმე ფისომ თავისი შვილი რომ ვერ იპოვა, გაგიჟებულა ისე როგორც ადამიანი. ყველგან ეძება და როცა უკან მიუყვანეს, დაავლო თავის შვილებს პირი და სანამ არ გაზარდა, მანამდე თურმე არავის უნახავს არც ფისო და არც მისი შვილები.

ხატია კვინტრაძე,
აბასთუმნის საშუალო სკოლის
III კლასის მოსწავლე

ნათია გოგოგერიშვილი
თბილისის 171-ე სკოლის
V² კლასის მოსწავლე

ეაზავხყლდა

მინდორში ია, ენძელა
და ყოჩივარდა გამოჩნდა,
მათ სიხარულს და ჟრიამულს
არულ ფურისულა ჩამორჩა.

გუნდი და გუნდი ფრინველთა
ჭიკჭიკით მოგვევლინება,
არემარეს და ბუნებას
სულ ლხენით მოეფინება.

გადმოვიხედავ ფანჯრიდან,
ბუნების ზეიმს შევყურებ,
თანაგოლ გოგო-ბიჭების
ჟრიამულს მეულ შევიფერებ.

მოვა ულულუნა ნვიმაულ და
მორწყავს ველ-მინდვრებს ლხენითა.
და გაიხარებს ბუნებაულ,
ყველანი შვებით ვმღერითა.

დღე ლამაზია, კარგია
გული იმედით ივსება!
ეს ბედნიერი ნამები
არასდროს დამავიწყდება.

ნათია გოგოგერიშვილი,
თბილისის 171-ე საშუალო სკოლის
V² კლასის მოსწავლე

ფიქრები ქენზე

შენ ჩემს ფიქრებში ღრმად ჩაიძირე,
შენ ჩემს გულს მინა ღრმად გაუთხარე,
შენ ჩემი ოცნების გოგოდ იქეცი,
მე შენზე ფიქრი აღარ მასვენებს.
მე ყოველ ღამე შენ მესიზმრები,
და ერთი რამე მინდა რომ გითხრა:
გთხოვ, შენზე ფიქრი არ დამიშალო!

სანდრო საჩიშვილი,
აბასთუმნის საშუალო სკოლის
IV კლასის მოსწავლე

მსოფლიო კიდით კიდემდე

პოლონეთი

ცხენები ბავშვთა სახლებისა და ინტერნატებისთვის

15 წლის პოლონელმა კუბა სტეპნიაკმა ბონძენტინში გამართულ ბაზრობაზე ათი საუცხოო ცხენი შეიძინა და ბავშვთა სახლებს და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ინტერნატებს აჩუქა. ცხენები ბიჭს 7,5 ათასი დოლარი დაუჯდა. ეს ფული კუბამ შარშან სპოტში მის მიერვე ორგანიზებული კონცერტის „ცხოველიც ადამიანია" შემოსავლით დააგროვა. თანხა ბიჭს „ცხრანახევარი" ცხენის საყიდლად ეყო, დანარჩენი ფული კი მამამ დაუმატა. გარდა იმისა, რომ კუბამ უდედმამო და ავადმყოფო ბავშვები გაახარა, მან იმ ათ ცხენს სიცოცხლე გაუხანგრძლივა. საქმე ის არის, რომ ბონძენტონის ბაზრობაზე დანარჩენი ცხენები ევროპელმა კომივოიაჟერებმა შეისყიდეს, ხოლო ევროპაში პოლონური ცხენები დასაკლავად გაჰყავთ.

გერმანია

25 საათიანი გაკვეთილი

ქალაქ ჰამბურგის ერთ-ერთი გიმნაზიის მე-9 კლასში 25 საათიანი ისტორიის გაკვეთილი ჩატარდა. თავიდან მეცხრეკლასელთა ნაწილს ეჭვი ეპარებოდა, რომ ასეთ ექსპერიმენტს გაუძლებდა. რეკორდული ხანგრძლივობის გაკვეთილის ჩასატარებლად მოსწავლეები 35 წლის ისტორიის მასწავლებელმა იოჰენ ბაუერმა წააქეზა, რომელმაც გაკვეთილის სხვადასხვა საუკუნის ისტორიაში მოგზაურობის ფორმით ააგო. ამასთან ბატონმა მასწავლებელმა არც გასართობი მომენტები დაივიწყა, მაგალითად, შუაღამეს, გაკვეთილის დაწყებიდან მე-13 საათზე, მან ბავშვებს ტანგო აცეკვა. გამთენიისას კი ყველანი სკოლის ეზოში გამოვიდნენ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჰამბურგელი მოსწავლეები გინესის წიგნში მოხვდებიან.

ინგლისი

წიგნის მსოფლიო დღე

ფართოდ აღინიშნა წიგნის მსოფლიო დღე ინგლისის დედაქალაქის სკოლებში. ამ დღეს ათასობით ლონდონელმა მოსწავლემ კლასებსა თუ მუზეუმებში კიდევ ერთხელ გაიხსენა, თუ რა სარგებლობა მოაქვს წიგნს. თეთის თანამედროვე ხელოვნების გალერეაში მოსულ პატარა წიგნის მოყვარულებს ხალისიანი გარემო დახვდათ. გალერეა სტუმრებს დარბაზში გამოკიდული გასაბერი ბუშტებისგან შედგენილი დიდრონი ცნობისმოყვარე თვალებით და 6 მეტრიანი ღიმილით ეგებებოდა.

ჰოლანდია

ბავშვებს არავინ უჩიჩინებს, ჭამე, ჭამეო!

სოციოლოგები ათასობით 9-15 წლის ბავშვებს გაესაუბრნენ და დაადგინეს, რომ მშობლები თითქმის ყოველთვის ეთათბირებიან მათ, რაზე დახარჯონ ფული, სად წავიდნენ დასასვენებლად, რომელ ტელეგადაცემებს უყურონ. გარდა ამისა, მხოლოდ ყოველი მეხუთე ზრდასრული ჰოლანდიელი უწუხებს ბავშვებს გულს შეკითხვით: „ჭამე თუ არა საჭმელიო?" დანარჩენებს კი საერთოდ არ აწუხებს შვილების თუ შვილიშვილების კვების რეჟიმი.

ჰოლანდიელ ბავშვებს არც იმას ახსენებს ვინმე, რომ მათი ძილის დროა. სამაგიეროდ თითქმის ყველა ოჯახში ბავშვებს ხშირად ელაპარაკებიან ალკოჰოლის მავნებლობის შესახებ, ნარკოტიკების დამღუპველობაზე.

აშშ

ამერიკელი ბავშვები ძალიან განებივრდნენ

ამერიკაში უფროსი ასაკის ადამიანთა 80 პროცენტს მიაჩნია, რომ მათი შვილები იმაზე უფრო განებივრებულები არიან, ვიდრე თუნდაც 20 წლის წინათ იყვნენ ბავშვები. ეს ადამიანები დარწმუნებულები არიან, რომ ეს კარგს არაფერს მოიტანს. დედებისა და მამების სამ მეოთხედს ძალზე აღიზიანებს ის ამბავი, რომ ბავშვები სულ უფრო ნაკლებად ეხმარებიან უფროსებს საოჯახო საქმეებში. ხოლო ყველაზე ხშირად კონფლიქტების მიზეზი ხდება ის, რომ ბავშვები საკუთარ ოთახსაც არ ალაგებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაფაჭხულდა, ფალამაფლიო, ფუფუნეკო!

ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ თმის ვარცხნილობას ქალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის, განსაკუთრებით კი გოგონას, ქალის გარეგნობისათვის. როგორი ლამაზი, კარგად ჩაცმულ-დახურულიც უნდა იყოთ, თუ თმა უხეიროდ, უგემოვნოდ გაქვთ შეჭრილ-დავარცხნილი, მთელი თქვენი მომხიბვლელობა უმოწყალოდ გაფერმკრთალდება.

რაც უფრო მოკლე და სადაა ვარცხნილობა, მით უფრო ადვილი მოსავლელია თმა. ცხადია, ვარცხნილობა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გიხდებოდეთ. ნუ იქნება იგი ყველაზე მოდური მთელ კლასში, ნურც ისეთი, თქვენ მეგობრებს რომ აქვთ, სამაგიეროდ, ეს თქვენი, მხოლოდ თქვენი ვარცხნილობა იქნება — თქვენი სახის ოვალის, შუბლის, ღაწვების, თვალ-წარბის შესაბამისი.

თუ ძალიან მაღალი შუბლი გაქვთ — წინ შეჭრილი თმა („ჩოლკა") მოგიხდებათ. მეტისმეტად გაბერილი ლოყები მათზე ჩამოშლილი თმით დაიფარეთ. თუ დაცქვეტილი ყურები გაქვთ, თმას ყურებზე ნუ გადაიწევთ, ნურც ძალზე მოკლედ შეიჭრით.

თუ სწორი, გრძელი თმა გაქვთ, საგულდაგულოდ მოუარეთ მას, მოკლედ ნუ შეიჭრით. ისიც გაითვალისწინეთ, რომ როცა თმა მოკლედ გაქვთ შეკრეჭილი, კისერი მეტისმეტად გამხდარი და მაღალი მოჩანს, თუ გაშლილი თმა გაღიზიანებთ, შეგიძლიათ ერთ ან ორ ნაწნავად დაიწნათ, ან პატარა ბაფთით შეიკონოთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ძალიან მოკლედ შეჭრილი თმა გამოკვეთილად აჩენს თავის მოყვანილობასაც, ყურებსაც.

ვინ არის ყველაზე თავაზიანი?

გამოდის, რომ მსოფლიოში ყველაზე თავაზიანები იაპონელები არიან. სტატისტიკა ირწმუნება, რომ იაპონიაში კანცელარიის მოხელე ყოველ თერთმეტ წუთში ერთხელ მაინც უკრავს თავს სხვას, მატარებლის გამყოლები - დღეში 2100-ჯერ, უნივერმაღის ესკალატორების მომსახურე ქალები კი – დღეში 2500-ჯერ.

ნერონი თაღლითიც ყოფილა!

რომში გამართული ისტორიკოსთა სემინარის დღის წესრიგში ბევრი საკითხი იდგა, მაგრამ ერთმა მათგანმა ყველა დაჩრდილა. ისტორიკოსებმა მოაწყეს „სასამართლო პროცესი", რომელზეც ბრალდებულად გამოყვანილი იყო... იმპერატორი ნერონი, სწავლულებმა უტყუარი საბუთებით დაამტკიცეს, რომ ნერონი არა მარტო მკვლელი და ცეცხლის წამკიდებელი იყო, არამედ სახელმწიფო მასშტაბის თაღლითიც. მაგალითად, მან თვითნებურად შეამცირა მონეტების ზომა და, რამდენიც მოესურვებოდა, იმდენს მოაჭრევინებდა ხოლმე. ამის გარდა, იგი რომის ვალუტის კურსს სისტემატურად დაბლა სწევდა და მონეტაში ოქროს რაოდენობას ფარულად შვიდი პროცენტით ამცირებდა.

ღორმუცელა „ვარსკვლავები"

ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდის სამხრეთით, 200 კილომეტრზე მდებარეობს უაიტომოს სახელგანთქმული გამოქვაბულები. მიწისქვეშა ლაბირინთის მღვიმეებში მაღლა რომ აიხედავ, იფიქრებ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დამყურებსო თავს. რასაკვირველია, აქ არც ცაა და არც ვარსკვლავები; მღვიმეთა თაღები მოფენილია ქინქლა „არახნოკამპა ლუმინოზას" ჭუპრებით – მანათობელი ჭიებით. გამოქვაბულის დამთვალიერებელმა სრული სიჩუმე უნდა დაიცვას. არ გეგონოთ, ისინი ასე სიჩუმის სიყვარულით იქცეოდნენ. არა, ეს მათი ნადირობის ხერხია. თითოეული ჭია თაღიდან ძირს ეშვება მეტრა ნახევარი სიგრძის ლორწოიანი ძაფით. მწერები, მათ შორის თვით „არახნოკამპებიც", „ცოცხალი შუქისკენ" მიილტვიან და წამსვე მახეში ებმებიან. ჭია ძაფს თავისკენ სწევს, მსხვერპლს სანსლავს და გამაძღარი ათჯერ მეტი ძალით ანათებს.

მაიმუნი საბრალვდებლო სკამზე



პარიზის ერთ-ერთი რაიონის სასამართლომ გაარჩია მაიმუნის, სახელად მაკაოს საქმე. მას ბრალად ედებოდა მეზობლის ბინის აივანზე გადაძვრომა და კოსმეტიკური ნივთების განადგურება, უფრო მეტიც: დაზარალებულმა დიასახლისმა განაცხადა, მაკაომ ზარალისგან ამოიღო ძვირფასი ბრილიანტისებური ბეჭედი და გადაყლაპაო. მაიმუნის პატრონი თავგამოდებით იცავდა და აქებდა მაკაოს, რომლის კეთილზნეობის მოწმეებადაც თავის მეგობრებს ასახელებდა. ირწმუნებოდა, მაკაო ბეჭედს ვერ გადაყლაპავდაო.

სასამართლოს დარბაზში ჩაატარეს ექსპერიმენტი – მაიმუნს რამდენიმე ბუტაფორული ბეჭედი შესთავაზეს, მან ისინი მაშინვე გადასანსლა, სასამართლომ მაკაოს პატრონს მეზობლის ზარალის ანაზღაურება დააკისრა.

ჩემპიონი ნაყინის ჭამაში

სტატისტიკით დადგენილია, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტ ნაყინს იტალიაში გეახლებიან, ხოლო თავად იტალიაში ამ საქმის ჩემპიონად მისი დედაქალაქი, რომია აღიარებული. ამ უძველესი ქალაქის თითოეული მოქალაქე წელიწადში საშუალოდ 15 კილოგრამ ნაყინს მირთმევს.

ტაილანდელები კატაზე ოცნებობენ

ცნობილია, რომ სიამური კატები წარმოშობით ტაილანდიდან არიან. 600 წლის წინათ ამ კატების 17 სახეობა არსებობდა, ახლა კი ოთხიღა დარჩა. აქაური

მონარქები მსოფლიოს მეფეებს განსაკუთრებული პატივის ნიშნად ამ საოცრად ლამაზ კატებს ძღვნად უგზავნიდნენ ხოლმე. ნამდვილი ჯიშიანი სიამური კატები ამჟამად მხოლოდ ევროპაშია. ტაილანდელი კატების მოყვარულნი ოცნებობენ, როგორმე სამშობლოშიც მოამრავლონ ისინი.

ტესტი

როგორი ხასიათი გაქვს?

ფსიქოლოგები ექვს სიტუაციასა და თითოეული მათგანის დროს მოქმედების სამ ვარიანტს გთავაზობენ. კარგად გაიაზრე ყოველი სიტუაცია, მერე მოქმედების სამივე შესაძლო ვარიანტსაც გაეცანი და მათგან ერთი ამოირჩიე. არჩეულ ვარიანტს „+“ დაუწერე. ასე მოიქეცი ექვსივე სიტუაციაში.

აბა, მზად ხარ?

ვიწყებთ.

1. დაბადების დღეზე ისეთი რამ გაჩუქეს (ლარნაკი, ჰალსტუხი, პერანგი, წიგნი, მაისური, კალმისტარი და ა. შ.) რაც უკვე გაქვს. როგორ მოიქცევი?

ა) მადლობას გადავიხდი, მერე კი ამ საჩუქარს სხვას ვაჩუქებ.

ბ) მაშინვე ვიტყვი, რომ უკვე მაქვს ასეთი ნივთი.

გ) არაფერს ვიტყვი. უბრალოდ, შევინახავ საჩუქარს.

2. გაკვეთილზე ერთმა შენმა თანაკლასელმა მეორეს ბარათი გაუგზავნა, რომელსაც აწერია: „არ გახსნათ!“ ბარათი შენ ჩაგივარდა ხელში, როგორ მოიქცევი?

ა) ჩუმად წავიკითხავ და ისე გადავცემ. ხომ უნდა ვიცოდე რა წერია შიგ.

ბ) მაშინვე გადავცემ. ბარათს არ წაკითხავ.

გ) რა თქმა უნდა, გადავცემ, ოღონდ გაკვეთილის შემდეგ, ხომ შეიძლება მასწავლებელმა შემამჩნიოს და წამართვას. სარისკოა.

3. მასწავლებელმა, რომელიც ცუდი თვალით გიყურებს, გადაწყვიტა, თავის საგანში სასკოლო კონკურსი ჩაატაროს: შენ რეალური შესაძლებლობა გეძლევა, „ტექნიკური“ დახმარება გაუწიო მასწავლებელს (საკლასო ოთახის მომზადება, ბარათების გადაწერა და ა. შ.) და ხუთიანი გაინაღდო. როგორ მოიქცევი?

ა) უარს ვიტყვი, არც მასწავლებელი მიყვარს და არც მისი საგანი. რისთვის მოვიკლა თავი?

ბ) ცხადია, დავეთანხმები, თუ შესაძლებელია, რატომაც არ „დავირტყა“ ხუთიანი. მასწავლებელთან ურთიერთობასაც ხომ გავიუმჯობესებ.

გ) პრინციპული მოსაზრებით უარს ვიტყვი. მოსახდენი უნდა მოხდეს.

4. ერთ-ერთი თანაკლასელი ანეკდოტს ყვება. შენ კი უკვე იცი იგი. როგორ მოიქცევი?

ა) არ შევიმჩნევ, რომ უკვე ვიცი, რატომ გავუფუჭო გუნება?

ბ) რა თქმა უნდა, ვეტყვი, შენი ანეკდოტი მოძველდა-მეთქი.

გ) ალბათ, შევაწყვეტინებ და თვითონ გავაგრძელებ ანეკდოტს.

5. მეზობელ ქუჩაზე აღმოაჩინე ტელეფონი-ავტომატი, რომლითაც შეიძლება უმონეტოდ დარეკო. როგორ მოიქცევი?

ა) სატელეფონო სადგურს შევატყობინებ.

ბ) მარტო თვითონ ვისარგებლებ ამ ტელეფონით, სხვას არავის ვეტყვი.

გ) რა თქმა უნდა, სხვებსაც ვეტყვი და ერთად დავრეკავთ ხოლმე. ყველას გავაშაყირებთ.

6. რაღაც ნივთი დაგრჩა და გაკვეთილების შემდეგ ცარიელ კლასში დაბრუნდი. შემთხვევით შეუსწარი ამხანაგს, რომელიც საკლასო ჟურნალში რაღაცას შლის. მან ვერ შეგამჩნია. როგორ მოიქცევი?

ა) თუ ჩემი ამხანაგია, გავაჩერებ, გავაფრთხილებ, არ ღირს ამის გაკეთება-მეთქი.

ბ) მივალ და ვნახავ, რას აკეთებს, ჩემს ნიშნებსაც შევამოწმებ ან უკიდურეს შემთხვევაში „ატანდაზე“ დავდგები.

გ) ჩუმადვე გავბრუნდები უკან. რად მინდა ხათაბალაში გავება.

ახლა კი მიღებული ქულები

პასუხები ქულები	პასუხები ქულები	პასუხები ქულები
1. ა) 2	2. ა) 6	3. ა) 10
ბ) 6	ბ) 10	ბ) 2
გ) 10	გ) 2	გ) 6
4. ა) 10	5. ა) 10	6. ა) 6
ბ) 6	ბ) 2	ბ) 10
გ) 2	გ) 6	გ) 2

თუ 16 ქულამდე დააგროვე:

გულჩათხრობილი უფრო გეოქმის, ვიდრე გულღია. კუსავით „ბაკანში“ გირჩევნია ყოფნა. დიდ ნიჭს იჩენ ზუსტ მეცნიერებებში. არ გიყვარს ხმაურიანი საზოგადოება. ზოგჯერ სურვილი გიჩნდება, რაიმე კეთილშობილური საქმე წამოიწყო, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოგდის.

17-27 ქულა:

გუნება-განწყობილების ადამიანი ხარ. შეიძლება ლექსებსაც წერ. გიტარაზე უკრავ. ვითარების მიხედვით ხან წინ ისწრაფვი, ხან აპათიაში ვარდები. მეოცნებისა და რომანტიკოსის თვისებები გაქვს. თუმცა განმარტოება გიყვარს, ზოგჯერ თანატოლების ხმაურიან წრეში ყოფნაც გინდება. კარგი იქნება, თუ მეტისმეტად სერიოზულად არ მოეკიდები საკუთარ თავს.

28-36 ქულა:

ნებისმიერი საზოგადოების სული და გული ხარ. გრძნობებს, ემოციებს, განცდებს დიდი მნიშვნელობა აქვს შენთვის. შეიძლება კარგი მეწარმე, ორგანიზატორი, მენეჯერი დადგე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ „ცუდ წრეში“ არ ჩავარდები. ასეთი საშიშროება კი სავსებით რეალურია შენთვის, იმიტომ რომ დისციპლინა მაინცდამაინც არ გიყვარს.

37-52 ქულა:

როგორც წესი, ყველაფერში და ყველგან პირველობას ეშურები. წყენას დიდი ხნით იტოვებ გულში. გინდა აუცილებლად გადაუხადო მწყენინებელს სამაგიერო. საკმაოდ მიზანსწრაფული ხარ, იცი, რა გინდა და დასახულის მისაღწევად გზებსაც პოულობ. თუმცა, ზოგჯერ ძლიერი გრძნობები გიჩნდება, თავს არ კარგავ, ძალიან გიყვარს მბრძანებლობა, რამაც შეიძლება ცუდი სამსახური გაგიწიოს.

53 და მეტი ქულა:

შეგიძლია ყველას დაუმეგობრდე. შეგიძლია ბევრი რამ მოუთმინო და აპატიო მეგობრებს, ამიტომაც უპრინციპო და უხერხემლო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. ძალა არ გყოფნის, კრიტიკული იყო სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ. ხშირად მიჰყვები დინებას და სწორედ ესაა შენთვის მთავარი საშიშროება.









დიასახლისი მადლობელი დაგრჩება, თუ რბილი ავეჯის გაწმენდის ასეთ ხერხს ასწავლი: სავარძელს თუ დივანს სველი ზეწარი გადააფარე და საბერტყით კარგად გაბერტყე. ოთახში მტვერი არ დადგება, ზეწრის წყალში გავლება კი იოლი საქმეა.

●

ველოსიპედის საბურავის დატუმბვისას შლანგისა და ვენტილის შეერთების ადგილას ჰაერი იპარება ხოლმე. ასე რომ არ მოხდეს, ვენტილს 1-2 მმ. სისქე რეზინის რგოლი ჩამოაცვი. დატუმბვის შემდეგ რგოლს ნუ მოაძრობ, ვენტილზევე დატოვე.

●

დროთა განმავლობაში მოსახსნელფეხებიანი მაგიდა ირყევა ხოლმე. ასეთ მაგიდას ვერც ქანჩების მოჭერით „უექიმებ“, ვერც წებოთი „განკურნავ“. და მაინც არსებობს ხერხი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მაგიდის გამაგრება: იმ დაფების ტორსებში, რომლებიც მაგიდის კოლოფს ქმნიან, ნახევრამდე ჩაარჭე უთავო ლურსმნები, მათ შესაბამისად კი ფეხებში ხვრეტები გაბურღე. ქანჩის ჩახრახვნის შემდეგ ლურსმნები თვით იკისრებენ განსოლვის დატვირთვას და საიმედოდ გაამაგრებენ ფეხებს.

●

პარკეტის ფილებს შორის გაჩენილი არეები სასურველია ტრაფარეტის მეშვეობით შეავსო. ტრაფარეტი სქელი ქაღალდის ან მუყაოსგან გამოიჭრება, ზედ ფითხი წაესმება, ამოჭრილი „ფანჯრით“ იგი ფთთხს გაატარებს და არეები ისე ამოივსება, რომ იატაკი არ მოისვრება.

ჭირვეული ცოლი ჭირვეული

ერეკვნული ბიბლიოთეკა

ბერეტი მოდაში აღორძინების ეპოქაში შემოვიდა. იგი პირველად მხოლოდ თხელი მაუდისაგან მზადდებოდა.

***

XIX საუკუნის ბოლოს გამოჩნდა ფართოფარფლებიანი შლაპები, ისინი ხელოვნური ყვავილებით, ხილით, ფრინველთა ბუმბულით იყო მორთული.

***

ანტიკურ ეპოქაში ღილებს არ ხმარობდნენ, ღილები პირველად დაამზადეს ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში.

***

ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში ჯერ კიდევ არ იცოდნენ ტანსაცმელზე ჯიბეების მიკერება; არც ხელჩანთებს ხმარობდნენ, ტანსაცმელზე ჯიბეების მიკერება შუა საუკუნეების ეპოქაში შემოიღეს, მანამდე კი დანას, კბილის საჩიჩქნს, მაკრატელსა თუ სხვა საჭირო ნივთებს ქამარზე იკიდებდნენ ზონრით ანდა ძეწკვით.

***

მზის მცხუნვარებისაგან დასაცავად სხვადასხვა ფორმის ქოლგას უძველეს დროიდანვე ხმარობდნენ.

XVII საუკუნის დასაწყისში ქოლგები გამოჩნდა ინგლისში. მზის მცხუნვარებისაგან დაცვის გარდა ქოლგამ ინგლისში შეიძინა თავისი მეორე დანიშნულება — წვიმისაგან დაცვა.

სწორედ ინგლისში დაიწყეს პირველად წყალგაუმტარი მასალისაგან ქოლგების დამზადება.

***

მაღალძირიან ფეხსაცმელს პირველად XVI საუკუნის დამლევს ვენეციელმა ქალებმა მიმართეს. ფეხი რომ არ დასველებოდათ, ისინი სქელლანჩიან ფეხსაცმელს იცვამდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ORIGAMI

ჩვენ ადრეც შემოგთავაზეთ ორიგამის ხელოვნების ნიმუშები და ქაღალდის პატარ-პატარა ფიგურების გასაკეთებლად სქემებიც მოგაწოდეთ. ამჯერად კი გვინდა სელაპის და ჩიტის ფიგურების გაკეთებაში დაგეხმაროთ.



ORIGAMI

სიცილის გაკვეთილი

პატარა მარჩელო პურის მაღაზიაში შევიდა და ორმოცდაათი ლირის პური მოითხოვა. გამყიდველმა ბავშვი წონაში მოატყუა. ბიჭი მიუხვდა.

— შენთვის უფრო კარგი არაა, ადვილად წაიღებ, — უთხრა მეპურემ.

— მართალია, — დაემოწმა მარჩელო და დახლზე ორმოცი ლირა დაუდო.

— დაიცა, — შეაჩერა მეპურემ. შენ ნაკლები მომეცი.

— თქვენთვის უფრო კარგი არ არის, ძია, უფრო ცოტა ფულის დათვლა დაგჭირდებათ.

☺ ☺ ☺

მასწავლებელმა პიერინოს ჰკითხა:

— იცი, რატომ უსწრებს ევროპის საათი ამერიკისას?

— დიახ, მასწავლებელო, იმიტომ რომ, ამერიკა უფრო გვიან აღმოაჩინეს...

☺ ☺ ☺

პიერინოს ისტორიაში ცდიდნენ. მასწავლებელმა კითხვა მისცა და შემდეგ დასძინა:

— დაუკვირდი, პიერინო, ეს კითხვა არც ისე ძნელია...

— ეგ მეც ვიცი, მასწავლებლო, კითხვის დასმა ადვილია, პასუხის გაცემაა ძნელი.

☺ ☺ ☺

ერთმა გლეხმა დაინახა, რომ უცნობი ბიჭი მის ბაღში ვაშლის ხეზე ამძვრალიყო.

— ახლავე ჩამოდი, თორემ მამაშენს ვეტყვი!

— მამა, ჩადი ხიდან, ამ კაცს შენთან ლაპარაკი უნდა.

☺ ☺ ☺

ფრაუ დაიკე: მინდა ჩემს ვაჟიშვილს უცხოური ენა შევასწავლოთ.

პროფესორი: სიამოვნებით. ოღონდ რომელი: ფრანგული, იტალიური, ესპანური?..

ფრაუ დაიკე: მაგათში ყველაზე უფრო უცხოური რომელია?

☺ ☺ ☺

— დარწმუნებული ვარ, რომ ორი ერთნაირად მოაზროვნე ადამიანი არ არსებობს.

— აგრე არ იტყოდი, ის საჩუქრები რომ გენახა, რომლებიც დაბადების დღეს მომართვეს.

☺ ☺ ☺

„გთხოვთ აპატიოთ ჩემს ქალიშვილს სკოლაში დაგვიანება, — მისწერა ქალბატონმა პისტერმა კლასის დამრიგებელს, — მე სამი ქალიშვილი მყავს, სარკე კი მხოლოდ ერთი გვაქვს.“

☺ ☺ ☺

— როგორ დაიწვი აგრე ყურები?

— როცა ვაუთოვებდი, ტელეფონმა დარეკა და ყურმილის მაგიერ უთო მივიდე ყურზე.

— მეორე ყური?

— ექიმი ხომ უნდა გამომეძახა!

☺ ☺ ☺

ერთ დღეს ჰანსი სკოლიდან დაბრუნდა და დედას უამბო:

— მასწავლებელმა შეკითხვები მოგვცა და გვითხრა, ვისაც პასუხის გაცემა შეუძლია, ხელი ასწიოსო.

მე ხელი არ ავწიე და მისაყვედურა: ჰანს, უკეთ უნდა ისწავლო!

— სწორად უთქვამს, შვილო, კარგად უნდა ისწავლო და კლასშიც ხელი აიწიო ხოლმე.

მეორე დღეს ჰანსმა დედას ახარა, კლასში ერთადერთმა ავწიე ხელიო.

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭუნა, — მიუალერსა დედამ, — რა იკითხა მასწავლებელმა?

— საშინაო დავალება ვის არ შეუსრულებიაო?

☺ ☺ ☺

— რატომ ტირი, ნელი? — ჰკითხეს პატარა გოგონას.

— იმიტომ, რომ ტომს აქვს არდადეგები, მე კი არა, — უპასუხა ნელიმ.

— შენ რატომ არა გაქვს არდადეგები?

— იმიტომ, რომ მე სკოლაში არ დავდივარ.

☺ ☺ ☺

სასწავლო წლის ბოლოს პიტერი სკოლიდან შინ დაბრუნდა და მშობლებს ახარა:

— დედიკო და მამიკო, მე თქვენ ფული დაგიზოგეთ.

— რანაირად?

— ახალი სახელმძღვანელოების ყიდვა აღარ მოგიწევთ, იმავე კლასში დავრჩი.

იწილო-მიწილო



ჩანეჩეთ საქართველოს სოფლები

შეადგინა ზინაიდა ლოგუანიძემ

იპოვნეთ განსხვავებები ამ ორ ნახატს შორის

ანეკდოტები

გრძელკისერა ცხოველია,
უდაბნოში დადის,
წყლის მარაგი ზურგით
დააქვს,
მით იოლას გადის.

***

ფრინველია მალხაზი,
სხვის ბუდეში კვერცხებს
დებს,
თვითონ თავს არ იწუხებს,
ბარტყებს სხვას აზრდევ-
ინებს.

ენის ანაცვალი

შენი ქინძი, კამა, პიტნა, ტარხუნა –შენ თუ გექინძ-გეკამ-გეპიტნ-გეტარხუნება, თორემ მე არაფერი მექინძ-მეკამ-მეპიტნ-მეტარხუნება.

ფეფე ტაფაზე ფეტვს ფშრუტავს.

აგერ მივა შავი კაცი, შავ-ცხენ, შავ-პაიჭ-ხარაჯიანი.

ეს ჩვენი სკვინჩა წრიპა-ყარანა-ნეტავ რას გვესკვინჩ-გვეწრიპ-გვეყარანება.



აბა სცადეთ!

აქ მოცემული სწორკუთხედი გაყავით ორ თანაბარ ნაწილად ისე, რომ თითო ნაწილში თითო რგოლი მოხვდეს.

მიშიკო სადღაშვილი

ნაკადულის ვეჩნისაქი



საქართველოს მთა

სოფელი

სოფელი

ნატიუმორტი

ციცი სადღაშვილი

შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი იმ ერთმა ნახატმა გადაწყვიტა. პირველკლასელი მიშიკო სადღაშვილის ნახატი – თევზის აპლიკაცია იუნესკოს საბავშვო ჟურნალში გამოსაქვეყნებლად შეარჩიეს და მერე გამოაქვეყნეს კიდეც. სწორედ მაშინ ურჩია სკოლის მასწავლებელმა მიშიკოს მშობლებს ყურადღება მიექციათ მისი ნიჭისათვის და უთუოდ შეეწყოთ ხელი მის გასავითარებლად. მაშინლა აღიქვეს ოჯახში მთელი სერიოზულობით ბავშვის გატაცება, თორემ მანამდე მიაჩნდათ, რომ მათი ბიჭიც ისევე ხატავდა, როგორც ბევრი მისი თანატოლი ან იქნებ ოდნავ უკეთესად. ახლა კი უკვე სხვა თვალით გადახედეს მის ნამუშევრებს და გაოცდნენ. თურმე ნუ იტყვით, მიშიკო დიახაც, რომ სხვებისგან განსხვავებულად ხატავდა. გადაწყდა. მიშიკო გიორგი ცაბაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში მიიყვანეს (დირექტორი ქნი მზია დადიანი). ხატვის მასწავლებელმა, ქალბატონმა მაყვალა ზუციშვილმა საჩვენებლად მიტანილი ნამუშევრები მოუწონა, გამოჰკითხა, აკვარელით მუშაობა უფრო მოსწონდა თუ ფანქრით, რაღაც შეუსწორა, მერე სამუშაო ადგილი მიუჩინა და მიშიკოც გატაცებით შეუდგა სწავლას. სულ მალე მიშიკო სადღაშვილის ნახატები ახმეტელის სახელობის თეატრში მოწყობილ ცაბაძის სახ. ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა გამოფენაზე გაიტანეს. მომდევნო წელს, როცა ასეთივე გამოფენა უკვე საქართველოს სიმფონიური მუსიკის ცენტრის დარბაზში მოეწყო, მიშიკოს ნახატებში კომპოზიციაში, ფერებში, ფუნჯის მონასვამში აშკარად იგრძნობოდა, რომ მას ბევრი რამის სწავლა მოესწრო. წელს სამხატვრო აკადემიაში საქართველოში ჩეხეთის საელჩოს მიერ მოწყობილმა გამოფენამ „ლიდიცე-2002“ განსაკუთრებული წარმატება და სიხარული მოუტანა პატარა მხატვარს. მიხეილ მინდაძის 27-ე საავტორო სკოლის მესამეკლასელის, გ. ცაბაძის სახელობის ხელოვნების სკოლის მოსწავლის მიხეილ სადღაშვილის ნახატი თემაზე „საქართველოს მთა“ საუკეთესოდ ცნეს და ჩეხეთში გაგზავნეს.

ეს რაც შეეხება ხატვას, მაგრამ ხატვის გარდა, მიშიკოს ცეკვაც ძალიან უყვარს და ილიკო სუხიშვილის სახელობის ქორეოგრაფიულ სკოლა-სტუდიაში ომარ ხურციძის კლასში ეუფლება ქართულ ცეკვებს. ვინც ქართულ ცეკვებს ცეკვავს, იმან სიმღერაც უნდა იცოდეს და მიშიკო ხელოვნების სკოლის საესტრადო განყოფილებაზეც სწავლობს, პედაგოგ ნანა თედიაშვილის კლასში.

მიშიკოს პატარა დაც ჰყავს, ციცი, რომელიც ცდილობს არაფერში ჩამორჩეს ძმას და ხატვაც მისი წაბაძვით დაიწყო. ციცის გული რომ არ დაწყდეს მიშიკოს ნამუშევრების გვერდით მის ორ ნახატსაც ვაქვეყნებთ – ეს მისთვის პირველი გამოფენა იქნება.